# სარბიელი

სპორტული გაზეთი · სამშაბათი 25 ივნისი 2002 №115 (1637) · ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რამდენი უნდა ATRACO



როგორც იქნა, მსოფლიოს ჩემპიონატი მთავრდება

როგორც იქნაო...

სამი მთავარი თამაში დარჩა და, როგორც იქნაო.

მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატს ხომ ოთხი წელი ველოდით? დიახ, ოღონდ სხვანაირი წარმოგვედგინა.

მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში გულშემატკივარი დიდი ფეხბურთის მოლოდინშია. წარსულის ჩემპიონატებს კი კლასიკად ქცეული თამაშების სიმრავლით აფასებს. კორეა-იაპონიის მუნდიალზე კლასიკად საქცევი თამაშები არ გამოერია. გულშემატკივარს ახსოვს ოთხი, რვა, თორმეტი და მეტი წლის წინ გამართული გამორჩეული თამაშები, ახლა კი ჩემპიონატის მიმდინარეობისას ჩასათვლელი თუ არჩასათვლელი გოლები გვამახსოვრდება. ხოლო ოთხი, რვა, თორმეტი და მეტი წლის შემდეგ, ალბათ, ეს მოგონებაც გაქრება და თითო-ოროლა თავგადაკლული ქომაგის გარდა სხვათა მახსოვრობას მხოლოდ ის შემორჩება, რომ 2002 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა... თუმცა ჩვენ ჯერ არ ვიცით, ვინ გახდება ჩემპიონი.

ისე, სამხრეთ კორეა — თურქეთის ფინალზე რა აზრის ხართ? ალბათ, ეს შესაძლო ვარიანტი გარჩეული გაქვთ.

იმის ასახსნელად, თუ რა ხდება ამ ჩემპიონატზე, უამრავი მიზეზის მოტანა შეიძლება. ცხადია, ფულზე ლაპარაკს გვერდს ვერ ავუვლით და საფიქრებელია, რომ უსახური თამაშების მომრავლების მიზეზი სწორედ ფულში უნდა ვეძიოთ.

ბობი ჩარლტონისთვის და სანდრო მაცოლასთვის ფეხბურთი იგივე არ იყო, რაც დევიდ ბექემისა და ფრანჩესკო ტოტისთვის არის. ძველ ვარსკვლავთა ფეხბურთი უფრო ლაღი იყო და ნაკლებს ფიქრობდნენ ფულზე. სერ სტენლი მეტიუზი ოცდაათ წელზე მეტხანს თამაშობდა და ერთხელაც არ გაუფრთხილებიათ. ამ კაცს დიდ კლუბებში შეეძლო თამაში, სადაც მეტ ფულსაც გადაუხდიდნენ და ჯილდოებსაც მოიგებდა. „ბლეკპულზე" უკეთეს გუნდში გადასვლა კი არ ინდომა.

ამას ახალი თაობის დასაძრახად არ ვამბობთ. უბრალოდ, ფაქტს აღვნიშნავთ, რომ დღევანდელ ფეხბურთში სხვანაირი გმირები არიან. დღეს ფეხბურთს მილიონერები თამაშობენ, ან ის ბიჭები, რომლებიც მალე გახდებიან მილიონერები. მაგრამ მილიონების დევნაში სილაღე დაიკარგა.

მილიონებს ეძებს ფიფა-უეფაც. უფრო სწორად, ახალ-ახალ მილიონებს. ამიტომაც დღეს, როცა თითოეული მატჩი ძალიან ძვირად ფასობს, მივიღეთ უსაშველოდ გადატვირთული კალენდარი, რისი ერთი შედეგიცაა მსოფლიოს ჩემპიონატზე გადამწვარი, ძლივს მოლასლასე ვარსკვლავები. ახალ-ახალი მილიონების შოვნის სურვილის შედეგია, ეგზოტიკური ქვეყნებიდან მოწვეული ეგზოტიკური მსაჯები. მუნდიალზე ტრინიდადელი და უგანდელი თანამსაჯების მიწვევა ამ ქვეყნებში ფეხბურთის პოპულარიზაციას უწყობს ხელს და ახალი ბაზრის ათვისების საშუალებას იძლევა. ამ დროს ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ეს მსაჯი ბურთის მოედნიდან გადასვლა-არგადასვლას შეამჩნევს თუ ვერა. ეს ტრინიდადელის და უგანდელის ბრალი არ არის, მსაჯობენ, როგორც შეუძლიათ. საქმე ისაა, ვინ და რატომ მიიწვია ისინი.

წინა შაბათს კი მსოფლიოს ჩემპიონატს დაემშვიდობა ესპანეთის ნაკრები. გუნდი, რომლის ბედიც თანამსაჯის ვერდანახულმა ბურთის გადასვლა-არგადასვლამ და რამდენიმე სხვა უხეშმა შეცდომამ გადაწყვიტა. ესპანეთი შეუერთდა ფიფას მაგინებელ იტალიას და დაიძახა: **ATRACO!** რაც ჩვენებურად დაყაჩაღებას ნიშნავს, ისე, დაყაჩაღებაც ფულთან არის დაკავშირებული.

# კორეა-იაპონია 2002 მეოთხედფინალი

# FIFA FAIR PLAY?

## №59 ესპანეთი 0:0 (პენ. 3:5) ს. კორეა

22 ივნისი. გვანგჯუ (კორეა). 11.30, „გვანგჯუ უორლდ ქაფ სტადიუმ". 42 114 მაყურებელი

პენალტები: 0:1 ჰვანგი, 1:1 იერო, 1:2 პარკი, 2:2 ბარახა, 2:3 სეოლი, 3:3 ხავი, 3:4 ანი, 3:4 ხოაკინი (მეკარე), 3:5 მ. ჰონგი

1 კასილიასი

მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამაჩო

5 პუიოლი, 6 იერო, 20 ნადალი, 15 რომერო

4 ელგერა

22 ხოაკინი, 8 ბარახა, 11 დე პედრო

17 ვალერონი

9 მორიენტესი

9 სეოლი, 19 ანი

21 პარკი, 10 ი. ლი, 6 იოო

5 ნ. კიმი

7 ტ. კიმი, 20 მ. ჰონგი, 4 ჯ. ჩოი, 22 ჩ. სონგი

1 ვ. ლი

მწვრთნელი გუს ჰიდინკი

შეცვლა: ნ. კიმი – 13. ე. ლი (32), იოო – 14. ჩ. ლი (61), დე პედრო – 16. მენდიეტა (70), ვალერონი – 21. ლუის ენრიკე (80), ტ. კიმი – 18. ს. ჰვანგი (90), ელგერა – 19. ხავი (94)

გაფრთხილება: იოო (52), დე პედრო (53), მორიენტესი (111)

მსაჯები: ჯამალ ღანდური (ეგვიპტე); ალი ტომუსანგე (უგანდა), მაიკლ რაგონატი (ტრინიდადი და ტობაგო)

| | | |
|---|---|---|
| 20 | ჯარიმა | 22 |
| 6 | კუთხური | 5 |
| 17 | კარისკენ დარტყმა | 8 |
| 7 | კარში დარტყმა | 3 |
| 5 | თამაშგარე | 2 |



ივან ელგერა არჩათვლილმა გოლმა აატირა

გიორგი დარჯანია

**კორეული** პოლიციის ცნობით, პოლონეთთან მატჩის შემდეგ ნახევარი მილიონი კორეელი გამოეფინა ქუჩებში. ამერიკელებთან მატჩის შემდეგ მოზეიმეთა რაოდენობა 270 ათასით გაიზარდა. პორტუგალიის ძლევა 2.79 მილიონმა კაცმა იზეიმა, იტალიელთა დამარცხება კი 4.2 მილიონმა. კვირას, ესპანეთ — კორეის მატჩის შემდეგ, იმავ პოლიციის ცნობით, ყოველი მეათე კორეელი ღრიალით დარბოდა ქუჩებში. სულ კი კორეელები 48 მილიონი არიან. ერთი სიტყვით, მოზეიმეთა რაოდენობა კორეის ნაკრების კარში არჩათვლილი გოლების პროპორციულად იზრდება. კორეის პრეზიდენტმა კიმ დე ჟუნმა კი თქვა, კორეელ ხალხს ასეთი სიხარული ბოლო ხუთი ათასი წლის განმავლობაში არ ღირსებია, ჩვენს ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო, მოდით, ახლა ფინალშიც გავიდეთ და მსოფლიოს თასიც მოვიგოთო. ხუთი ათასი წელი კი პრეზიდენტმა იმად ახსნა, რომ სწორედ 50 საუკუნის წინ მეფე დანგუნგმა კორეის სახელმწიფო დააარსა, ყოველ შემთხვევაში, ლეგენდის მიხედვით ასეა.

ესპანეთის ნაკრები კი შინ გაემგზავრა. ისევე, როგორც ირლანდია, ესპანეთიც მსოფლიოს ჩემპიონატს დაუმარცხებელი დამშვიდობა (სამი მოგება, ორი ფრე) და ბედის ირონიით, დამშვიდობება იმ თამაშის შემდეგ მოუხდა, რომელიც წინა ოთხზე უკეთ ჩაატარა.

კორეა — იტალიის მატჩის მსგავსად, აზრი ახლაც გაიყო, ერთი მხრივ, არჩათვლილი გოლებისას მსაჯები უხეშად რომ შეცდნენ, არავინ კამათობს, მაგრამ თავად ესპანეთშიც აქა-იქ გაისმა ფრთხილი მოსაზრება, მსაჯები კი მოგვექცნენ უნამუსოდ, მაგრამ მაინც უნდა მოგვეგოო. თუმცა, რაც უნდა იყოს, ესპანელთა მარცხის უმთავრეს მიზეზად მაინც მსაჯობა რჩება.

მეორე ტაიმი ხუთი წუთის დაწყებული იყო, როცა ხავი დე პედრომ ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა. იქ კორეელი რუბენ ბარახას ქაჩავდა, ივან ელგერა კორეელს და საბოლოოდ ბურთი ტაი-იუნგ კიმის კისრიდან კარში გავიდა. მსაჯმა ჩასტვინა და ფერნანდო მორიენტესზე თამაშგარე აღნიშნა. ჯამალ ღანდურს ძიძგილაობისთვის რომ გაეუქმებინა გოლი, ეპიზოდი ნაკლებად საკამათო იქნებოდა, მაგრამ მორიენტესი თამაშგარეში არ ყოფილა. დამატებით დროში არჩათვლილ გოლზე კი კამათი უაზრობაა, იმდენად აშკარა იყო თანამსაჯის შეცდომა — ხოაკინს ბურთი მოედნის გარეთ არ გაქცევია. ამრიგად, ესპანელებს „ოქროს გოლი" ჩამოართვეს.

ერთი ასეთი მომენტიც იყო — მეკარესთან პირისპირ გასულ ლუის ენრიკეს თანამსაჯმა არარსებული თამაშგარე მოუგონა. იმ ეპიზოდში კი, მორიენტესმა ძელს რომ გაარტყა, ხოლო გაისკა მენდიეტამ დამატებაზე ვერ ივარგა, მსაჯი არაფერ შუაშია.

ახლა ბჭობენ, ესპანელებს რაული რომ ჰყოლოდათ, ეგებ, მაინც მოეგოთ. ეს ის საკითხია, რაზეც პასუხი შეუძლებელია ვინმეს ჰქონდეს, თუმც რაულის ტრავმამ ხოსე ანტონიო კამაჩოს ტაქტიკური სქემა, ცხადია, შეაცვლევინა. კამაჩომ გუნდი ერთი თავდამსხმელით, მორიენტესით ათამაშა, რომლისთვის პასის მიცემა ხუან კარლოს ვალერონს დაევალა. მოედნის ცენტრში რუბენ ბარახა იყო, ფლანგებზე ხოაკინი და დე პედრო, ხოლო ივან ელგერა მწვრთნელმა ოთხი მცველის წინ გაამწესა, რითაც დაცვასა და ნახევარდაცვას შორის სივრცე შეზღუდა.

ვალერონი თამაშიდან ფაქტობრივად გამოთიშული იყო, სასარგებლო არაფერი გაუკეთებია. შედეგად, ბარახას ისღა დარჩენოდა, შეტევის წამოწყება ხოაკინის ან დე პედროსთვის პასების მიცემით ეცადა. ამგვარმა ერთფეროვნებამ ესპანელთა იერიშები ადვილად ამოსაცნობი გახადა, რასაც სიმძაფრეს ხოაკინის ბრწყინვალე დრიბლინგიღა მატებდა.

კორეელებმა კი ისევე ითამაშეს, როგორც აქამდე, თუმც ნაკლები სისწრაფით. ხოლო 32-ე წუთზე ნამ-ილ კიმის გამოკლების შემდეგ, მცველებს პრობლემა რომ არ გასჩენოდათ, გუს ჰიდინკმა იუნგ-პიო ლი უკან დახია.

ზოგადად, ესპანეთს თამაშის ასაწყობად ცოტაოდენი დრო დასჭირდა. მეთვრამეტე წუთამდე ევროპელებს ბურთი ფაქტობრივად არც მიუღიათ. მერე კი ინიციატივა ხელთ იგდეს, რაც მეორე ტაიმში აშკარა უპირატესობაში გადაიზარდა. კორეელები შეტევაში უხალისოდ გადადიოდნენ და მეორე ტაიმის შუაგულამდე იკერ კასილიასი სერიოზულად არც შეუწუხებიათ.

ეს მატჩი ბოლო სანაკრებო იყო ცრემლადაღვრილი ფერნანდო იეროსთვის და ლუის ენრიკესთვის. კაპიტანმა ამის თაობაზე ადრევე თქვა, ლუის ენრიკემ კი მატჩის მერე განაცხადა, დროა, ახალგაზრდებს დავუთმო გზა, წასვლას რომ ვაპირებდი, კამაჩოსთვის ადრევე მქონდა ნათქვამიო.

ფიფამ უხეირო მსაჯობა აღიარა, მუნდიალზე არბიტრთა დანიშვნის წესიც შესაცვლელიაო, მაგრამ ფიფა რისი ფიფაა, ბოლომდე გამოტყდეს. სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარემ სენეპ ერზიკმა თქვა, რამდენიმე უხეში შეცდომის გარდა, ჩემპიონატზე მსაჯობა სავსებით დამაკმაყოფილებელიაო. ერზიკს ის აღარ უთქვამს, ამ რამოდენიმე უხეშმა შეცდომამ როგორი გავლენა მოახდინა მატჩებზე.

ამის თაობაზე ესპანეთის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ლუის სუარესმა ასეთი კომენტარი გააკეთა: „ადრე სადავო ეპიზოდებს მსაჯები მოიერიშე მხარის სასარგებლოდ წყვეტდნენ, ახლა ვითარება შეიცვალა. როგორც ჩანს, მსაჯებს ფიფასგან სათანადო ინსტრუქტაჟი ჩაუტარდათ. ამიტომაც მივიღეთ ჩემპიონატზე ამდენი არჩათვლილი გოლი. კორეა — ესპანეთის მატჩში კი მსაჯთა არაკომპეტენტურობა ყოველგვარ ზღვარს გადასცდა. დასაფიქრებელი და სახიფათო ტენდენციის მომსწრენი ვართ."

რაღა დავამატოთ — ფიფას ყბადაღებული ლოზუნგი სამართლიანი თამაშის შესახებ მხოლოდ ფეხბურთელებისთვის ყოფილა.

## სტენოგრამა

**მე-18 წუთი:** აუტიდან ჩაწოდებულ ბურთს ბარახამ მაკრატელათი დაჰკრა, მაგრამ ააცილა.

**27-ე წუთი:** ხავი დე პედროს საჯარიმო დარტყმას ფერნანდო მორიენტესმა თავური დაამატა, რომელიც მეკარე ჰონ-იაე ლიმ აიღო.

**31-ე წუთი:** დე პედროს ჩაწოდებულ კუთხურს ფერნანდო იერომ თექვსმეტი მეტრიდან თავი შეაგება. ბურთი კარს გადასცდა.

**42-ე წუთი:** ხოაკინის ფლანგიდან ჩაწოდებულს ჰონ-იაე ლიც ასცდა და მორიენტესმაც ვერ მიუსწრო.

**45-ე წუთი:** დე პედრომ სახიფათოდ ჩაჰკიდა მეკარის ბაქანზე, მაგრამ ჰონ-იაე ლიმ მოიგერია.

**45-ე წუთი:** დე პედროს ოცი მეტრიდან ცაციათი დარტყმულმა ბურთმა შორეულ ძელს ჩაუქროლა.

**45-ე წუთი:** დე პედრომ კუთხური ჩააწოდა. იეროს ოთხი მეტრიდან დარტყმული თავური კარს გადასცდა.

**50-ე წუთი:** ესპანელებმა საჯარიმო ჩაჰკიდეს. საჰაერო ბრძოლაში ბურთი ტაე-იუნგ კიმს მოხვდა და კარში შევიდა. მსაჯმა გოლი არ ჩათვალა.

**51-ე წუთი:** მორიენტესმა მეკარის ბაქნიდან ვერ გაიტანა.

**59-ე წუთი:** ხოაკინმა რამდენიმე კორეელი მოატყუა, დარტყმული კი ჰონ-იაე ლიმ აუღო.

**67-ე წუთი:** ჯი-სუნგ პარკმა მეკარის ბაქნის კუთხიდან დაარტყა. იკერ კასილიასმა სწრაფი რეაქცია გამოავლინა და ბურთი მოიგერია.

**72-ე წუთი:** ხოაკინის საჯარიმოს კუთხიდან დარტყმული არაზუსტი გამოდგა.

**90-ე წუთი:** ჩუნ-სოო ლიმ ოცდახუთი მეტრიდან დაბალ კუთხეში დაარტყა. კასილიასი ბურთს გადაეფარა.

**92-ე წუთი:** ხოაკინის პასით მორიენტესმა თავური გაიტანა. გოლი არ ჩაითვალა.

**96-ე წუთი:** იუნგ-ჰვან ანის ოცდახუთი მეტრიდან დარტყმული კარს ასცდა.

**97-ე წუთი:** ჩუნ-სოო ლის ოცდახუთი მეტრიდან შესრულებული საჯარიმო დარტყმა არაზუსტი გამოდგა.

**მე-100 წუთი:** მორიენტესის მეკარის ბაქნის კუთხიდან დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, გაისკა მენდიეტამ დამატებაზე კარს ააცილა.

**110-ე წუთი:** სუნ-ჰონგ ჰვანგს რვა მეტრიდან შეეძლო დარტყმა, მაგრამ ბურთზე ფეხი დაუფარეს.

**111-ე წუთი:** მორიენტესი მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ მსაჯმა ოფსაიდი აღნიშნა.





იკერ კასილიასს პირველი პენალტისას ბურთი რომ არ გასხლტომოდა, ფერნანდო იეროს ეგებ, საქმე სატირლად არ გახდომოდა

# მატჩის შემდეგ



ხოსე ანტონიო კამაჩოს მსჯი ლამის, შემოელახა . . .

## ხოსე ანტონიო კამაჩო
*ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი*

ცუდია, როცა მატჩის ბედს თანამსაჯის ალამი და არბიტრის სასტვენი წყვეტს. ასეთი დონის მატჩებში მეტი პასუხისმგებლობაა საჭირო. რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ. არაფრის მრცხვენია, მხოლოდ იმედგაცრუებას ვგრძნობ.

## გაისკა მენდიეტა

შინაური კედლები და მსაჯის გადაწყვეტილებები გადამწყვეტი ფაქტორები აღმოჩნდა კორეელთა გამარჯვებაში. მთელი კვირა მსაჯთა შეცდომებზე ლაპარაკი გვესმოდა და ჩვენც მათი მსხვერპლი შევიქენით. ამ დროს ძალიან ძნელია, თავი შეიკავო და მსაჯს არაფერი უთხრა.

## ფერნანდო მორიენტესი

კორეელების პორტუგალიასთან და იტალიასთან მატჩები ნანახი გვქონდა. იქ მსაჯები ჩემპიონატის მასპინძლებთან სასარგებლოდ რამდენჯერმე უხეშად შეცდნენ და ბიჭებს ამის თაობაზე გვილაპარაკია. ორი არჩათვლილი გოლი ერთ მატჩში, მსოფლიოს ჩემპიონატზე — მსგავსი რამ აქამდე არც მინახავს და არც მსმენია.

## იკერ კასილიასი

ვიცოდით, რომ მსაჯები კორეელებს მიემხრობოდნენ. ასეც მოხდა. მსოფლიოს ჩემპიონატს ისე ვტოვებთ, თამაში არ წაგვიგია. პენალტების სერია კი უბრალოდ ლატარიაა. ირლანდიასთან გაგვიმართლა, ახლა კი, არა. სამწუხაროა, რომ კიდევ ოთხი წელი მოგვიხდება ცდა.

## ვონ-იაე ლი

ირლანდიასთან მატჩში ესპანელების შესრულებული პენალტები ნანახი და გარჩეული მქონდა. ვიცოდი, რომ მთავარი სიმშვიდის შენარჩუნება იყო. როცა საქმე პენალტებამდე მიდგა, გამარჯვებაში ეჭვი არ შემპარვია.

## გუს ჰიდინკი
*კორეის ნაკრების მწვრთნელი*

უსამართლობა სწორედ არჩათვლილ გოლებზე ლაპარაკია. საქმე ის გახლავთ, რომ იტალიასთანაც და ესპანეთთანაც თანამსაჯის აწეული ალმის და არბიტრის სასტვენის შემდეგ ჩვენი ფეხბურთელები უბრალოდ გაჩერდნენ. იტალიელებმაც და ესპანელებმაც ამის მერე დაარტყეს და გაიტანეს. მსაჯის სასტვენი რომ არა, ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებდით და ბურთი კარში ეგებ არც აღმოჩენილიყო. თქვენ მხოლოდ იმაზე შეგიძლიათ იკამათოთ, წესის დარღვევა იყო თუ არა. საერთოდ კი, შეუცდომელი არავინაა. ფეხბურთელები, მწვრთნელები, მსაჯები — ყველანი ცდებიან. ჰოდა, სხვისი შეცდომებისთვის დაბრალების ნაცვლად დამარცხებულ გუნდს ურჩევნია, წაგების მიზეზები საკუთარ თავში ეძებოს.

ჩემი ბიჭებით ვამაყობ, მათ ბოლომდე იბრძოლეს. ვერ წარმოიდგენთ, რას ვგრძნობ. ყველაფერი სიზმარს ჰგავს. ახლა ორიოდე ჭიქის დალევაც შეიძლება, ხვალ დილიდან კი გერმანიაზე ფიქრს დავიწყებთ. გთხოვთ, ნახევარფინალზე ახლა ნურაფერს მკითხავთ. ტაქტიკაზე არაფერს გეტყვით.



. . . გუს ჰიდინკმა კი ჯამალ ღანდურთან საერთო ენა გამონახა

# სასიკვდილო დარტყმა ფეხბურთს

**მოგპარავთ!** გაგძარცვავთ! დაგაყაჩაღებთ! ამ სიტყვებიდან ნებისმიერი გამოდგება იმ პანტომიმის დასახასიათებლად, რომელშიც კორეის მსოფლიოს ჩემპიონატზე ესპანეთის ნაკრები ჩაითრიეს. მე ვამბობ კორეის ჩემპიონატი, რადგან სწორედ ასე უნდა მოვიხსენიოთ ის, რაც ხდება. ხომ გახსოვთ, რამხელა პოლემიკა გამოიწვია თავის დროზე სახელწოდების საკითხმა: კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატი ეწოდებინათ, თუ იაპონია-კორეასი. ვფიქრობ, ყველაზე ზუსტი ის სახელია, რასაც მე გთავაზობთ. კორეის ნაკრებმა და კორეის გავლენიანმა ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცეს, რომ ყველგან მიუწვდებათ ხელი და თუ მოინდომეს, მსოფლიოს ჩემპიონატს სამუდამოდ თავის საკუთრებად აქცევენ.

ჩვენმა ნაკრებმა კარგად ითამაშა, შექმნა უამრავი მომენტი, გაიტანა ორი გოლი, ხოლო კორეას ფაქტობრივად არც დაურტყამს კარში და... კამაჩო და ბიჭები სახლში დაბრუნდნენ. ეს ყველაფერი უვიცთა კაპრიზის გამო მოხდა. ამდენი უნამუსობა მეტისმეტია ერთი მატჩისთვის, მეტისმეტია მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. ამიტომ, ეს არ არის მსოფლიოს ჩემპიონატი, ეს მსოფლიოს დონის საფეხბურთო მასკარადია ბოროტი რეჟისორის მიერ დადგმული.

ეგვიპტელი არბიტრი, ტრინიდადელი და უგანდელი თანამსაჯები არ შეიძლება სჯიდნენ მსოფლიოს ჩემპიონატს. სად, რომელი ქვეყნის, რომელი გუნდების მატჩების მსაჯობისას უნდა შეეძინონ მათ ის გამოცდილება, რაც მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩის გასაძღოლად არის საჭირო? მათ შანსიც არ აქვთ, რომ ოდესმე რაიმე ისწავლონ. და მათ ეს დაამტკიცეს. შეუძლებელია, მსაჯმა ერთ მატჩში ამდენი შეცდომა დაუშვას, ხოლო, როცა მსაჯი მხოლოდ ერთი მიმართულებით ცდება, ეს სხვა რამესაც ნიშნავს. ესპანეთის ნაკრებს ათასი საათიც რომ ეთამაშა და ამდენივე გოლი გაეტანა, გამარჯვებას მაინც არ ჩაუთვლიდნენ. უბრალოდ, რაკი ეს კორეის ჩემპიონატია, როგორ შეიძლება ის კორეის გარეშე გაგრძელდეს.





ვილაცამ შეიძლება თქვას, რომ ესპანეთმა ხოაკინის გაფუჭებული პენალტით წააგო. ტყუილია — რომც გაეტანა, მსაჯი კორეელთა სასარგებლოდ კიდევ რამეს მოიმოქმედებდა.

**ხუან ხოსე ანატი „მარკა“**

იტალიელებმა ამის თაობაზე გაგვაფრთხილეს — თუ მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელს ხვდებით, ამისთვის ძალიან დიდი გადასახადი უნდა გადაიხადოთო.

ტელეკომპანია ANTENA 3

# განსხვავებული აზრი

ეს ძველი ისტორიაა. ჩვენ კვლავ ვერ გადავლახეთ მეოთხედფინალი და ისევ მსაჯის შეცდომები გავიხსენეთ. მაგრამ რეალობა ისაა, რომ ესპანეთი არ იყო საკმაოდ ძლიერი ამ მატჩის მოსაგებად.

გაზეთი „ასი“



# ხოაკინ მართალი

**ბეტისელი** ფეხბურთელი. ქომაგთა აბსოლუტურ უმრავლესობას „ბეტისის“ ხსენებაზე აქამდე დენილსონი გაახსენდებოდა — ერთ დროს მსოფლიოს უძვირესი და ვერგაბრწყინებული ბრაზილიელი. ესპანეთი — კორეის მატჩის შემდეგ კი უპირველეს ბეტისელად ხოაკინ სანჩეს როდრიგესი იქცა, ოცი წლის შეუფასებელი ბიჭი — ის „ბეტისის“ აღზრდილია, არასდროს გაყიდულა და ფასიც, აბა, როგორ დაედებოდა.

ხოაკინი საუკეთესო იყო მოედანზე და მთელი 120 წუთი დაუღალავად მუშაობდა. ერთ ეპიზოდში მან ტრავმაც მიიღო. თუმც კამაჩომ მისი შეცვლა მაინც არ ინდომა და მატჩის შემდეგ საბედისწეროდ, მეოთხე პენალტის დარტყმაც ანდო.

„არ ვიცი, მწვრთნელი აპირებდა თუ არა ჩემს მეპენალტეთა სიაში ჩაწერას, მე თავად ვთხოვე, დავარტყამ-მეთქი. დარწმუნებული ვიყავი, რომ გავიტანდი. მართალია, თამაშისას უმნიშვნელო ტრავმა მივიღე, მაგრამ პენალტის დარტყმისას ფეხს არ შევუწუხებივარ — თქვა ხოაკინმა. არადა, შეამჩნევდით, რომ დარტყამდე ის შეყოვნდა. ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, უბრალოდ არ იცოდა, საით დაერტყა და აი, შედეგიც. თუმცა ესპანელთა მარცხში მისი დადანაშაულება უსამართლობა იქნება.

მეორე არჩათვლილ გოლზე კი ფეხბურთელმა თქვა: „დავფიცებ, რომ ბურთს ხაზი არ გადაუკვეთია. როცა მსაჯმა ჩასტვინა, ვერც მივხვდი რა მოხდა. ვიფიქრე, ალბათ, ვინმე დააჯარიმა მეთქი. გაოგნებული დავრჩი, როცა გავიგე, გოლი რისთვის არ ჩათვალა“.

# თქვენი აღარა ვარ, მორჩა!

**ესპანეთის** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ხოსე მარია ვილიარი ფიფას სამსაჯო კომიტეტის წევრობიდან გადადგა. ვილიარმა, რომელიც იმავდროულად ფიფას ვიცე-პრეზიდენტიცაა, ეს ნაბიჯი ესპანეთ-კორეის მატჩში ორი არჩათვლილი გოლის გამო პროტესტის ნიშნად გადადგა. მისივე თქმით, ის გადადგომის მიზეზთა სრულ ჩამონათვალს ამ დღეებში წარუდგენს ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერს.

თავად ბლატერმა კი მატჩის დასრულებისთანავე განაცხადა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატებზე მსაჯთა დანიშვნის სისტემა შესაცვლელია.



ხოსე მარია ვილიარი

# კორეა-იაპონია 2002
## მეოთხედფინალი

## №60 სენეგალი 0:1დ.დ. (0:0) თურქეთი

22 ივნისი. ოსაკა (იაპონია). 16.30 „ოსაკა ნაგაი სთედიუმ". 44 233 მაყურებელი

0:1 ილჰანი (94, ოქროს გოლი)




შეცვლა: შუქური – 17. ილჰანი (67), ემრე ბელოზოღლუ – 6. არიფი (91)

გაფრთხილება: დაფი (12), ემრე ბელოზოღლუ (22), სისე (63), ილჰანი (87)

მსაჯები: ოსკარ რუისი (კოლუმბია); ხორხე რატალინო (არგენტინა), მიგელ ჯაკომუცი (პარაგვაი)

| | | |
|---|---|---|
| 18 | არიმა | 18 |
| 1 | კუთხური | 7 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 2 | კარში დარტყმა | 2 |
| 2 | თამაშგარე | 2 |



ილჰანმა ერთი მოქნევით ოქრო მოიმკო

# არ დაიდარდოთ, ლომებო! დიუფ-დაფითა და ბუკითა

ვახა ხუციშვილი

არიან გუნდები, რომლებიც გავარდნენ, არიან გუნდები, რომლებიც გაагდეს. სენეგალი არც გავარდნილა, არც გაუგდიათ. სენეგალელებმა თავაწეულებმა, ამაყად შემოურბინეს ოსაკას სტადიონის მინდორს და მათთვის პირველ ჩემპიონატს ღიმილით დაემშვიდობნენ.

მილიონობით გულშემატკივარს მეხსიერებაში დაუტოვეს: ორი უზადოდ შესრულებული საგოლე კომბინაცია დანიასთან და ურუგვაისთან, ელ-ჰაჯი დიუფის ფინტები, პირველივე შეხვედრაში დამარცხებული საფრანგეთი და, რაღა თქმა უნდა, ბრუნო მეტიუ.

ეს ფრანგი მწვრთნელი ჩვენი დროის კოლუმბია. მან აღმოაჩინა სენეგალი და პირიქით, სენეგალმა — ბრუნო მეტიუ. ჭროღათვალებიანი დამრიგებელი ოდნავ აღელვებული თუ გვინახავს. თეთრი მაისურა, შავი პიჯაკი და ჯიბეებში ჩაწყობილი ხელები — აი, სენეგალელი ლომების მომთვინიერებელი.

მეტიუმ მატჩის წინა დღეს თქვა, ბიჭები დაღლილობას უჩივიან, ძალა აღარ დავატანე, სრული დატვირთვით არ უვარჯიშიათო.

ასეც იყო. სადღაც პირველი ტაიმის შუაწელში სცადეს მეტოქის მოხრჩობა — ერთი გაიელვეს და მორჩა. ოსმალონი მძლავრობდნენ, 3-4 კაცით უტრიალებდნენ მოწინააღმდეგის საჯარიმოს. ამიტომაც ვერ გაილაღეს აფრიკელებმა.

პირველად კამარამ შეაგელვა ბურთი თურქ მცველებში. რუშთუმ იყნოსა ხიფათი და ადგილზე დაუხვდა კამარას დაკრულს.

მერე დიუფი-ფადიგა გათამაშდა, მაგრამ კამარამდე ბურთმა ვერ მიაღწია — გადამწყვეტი პასისას ფადიგას მეტი სიზუსტე მართებდა.

თურქები მიხვდნენ, რომ შეიძლებოდა უქმად ჯდომას მათ კარში გოლი მოჰყოლოდა. 30-ე წუთიდან მოყოლებული ოთხჯერ შეესივნენ მეტოქის საჯარიმოს და ნაღდი საგოლე მომენტებიც შექმნეს.

66 მილიონი თურქი ჯერაც გაოგნებულია, როგორ ააცილა ჰაქან შუქურმა ბურთს ფეხი. ჰასან შაშმა ისეთი პასი მიაწოდა, მართლა ბულა რომ მდგარიყო, ისიც გაიტანდა. ჰაქანის უგერგილობამ შენოლ გიუნეში მუხლებში მოარღვია, თავში კი ხელები შემოარტყმევინა.

ერგუნმაც სცადა, შუქურისთვის ერთი გოლი მაინც გაეტანინებინა. საჯარიმოში შეგლოჯინებულ „ბოსფორის ბულას" ჰაერიდან ბურთი წაუმძღვარა, მაგრამ რად გინდა, თავდამსხმელს ფეხები დასჩლიქებოდა და ველარ ხმარობდა.

ჰასან შაშმა იკისრა მორიგი შეტევის ორგანიზება, თუმცა საჯარიმოში ბოლო წამს ბურთი ფეხებში აეხვლანჯა.

ტაიმის ბოლოს ორივე კართან ბლუჯა-ბლუჯა ხიფათი შეიქმნა. სენეგალელთაგან ელ-ჰაჯი დიუფმა შეახსენა თავი მეტოქეს. მკერდით კამარას ისეთი პასი გაუჩარხა, რომ მცველები უქმად დატოვა. ანრი კამარამ იყოყმანა — კარში დარტყმაც შეეძლო და ფადიგაც კარგად იხსნებოდა. ყოყმანში ოსმალებმა ჩაასწრეს და ვითარება განმუხტეს.

პირველი ნახევრის მიწურულს ორივე გუნდს ასპროცენტიანი შანსი მიეცა. ჰასან შაშმა მოპუსკულ ბაშთურქს მეკარე შეატოვა. ბაიერელმა ბურთს თავი წაუწკაპუნა... ომარ დაფმა ცარიელი კარის ხაზიდან გამოაძევა ბურთი.

შესვენებამდე ელ-ჰაჯი დიუფს მართებდა თურქთა დამწუხრება. თითქოს ყველაფერი კარგად გააკეთა, მეურვეც „მოტეხა", ოღონდ რუშთუს უკვე ველარ ააცილა დარტყმული.

„სერიულ მკვლელს" (დიუფის მეტსახელია) თავის მოქმედებაში თითო ზედმეტი მოძრაობა რომ მოეკლო, ეგებ განეგმირა კიდეც ოსმალონი, მაგრამ ბრუნოს ნათქვამი გავიხსენოთ, ფეხბურთელები დაიღალნენო.

მართალიც იყო მწვრთნელი, მარტო ფიზიკურად კი არა, გონებრივადაც გადაიქანცნენ სენეგალელები. ამიტომ აკლდა მათ თამაშს ესოდენ საჭირო სიზუსტე.

ანტრაქტის შემდეგ ელ-ჰაჯიმ ჯარიმა შეასრულა — ჩარჩოშიც ვერ მოარტყა. ანრი კამარამ საჯარიმოში „დახაზა", გადამწყვეტ მომენტში კი ბურთს ფეხი ველარ წაარტყა.

თურქთაგან ილდირაი ბაშთურქი ცდილობდა ჩხვლეტას, ოღონდ მასაც ზედმეტი მოუვიდა. როცა საჭირო იყო, არ დაარტყა და მცველებმა მოაშთეს.

მატჩში მსაჯებს უხეში შეცდომები არ დაუშვიათ. ამითაც გამოირჩეოდა შეხვედრა. ერთი ეგ არის, ალიუ სისეს დაუმსახურებლად გააყოლეს ყვითელი ბარათი. ჰასან შაშს არც შეხებია, ისე დაეცა თურქი.

თურქული პრესა შენოლ გიუნეშს ხშირად მიუთითებდა, დაეტიოს ჰაქან შუქური სათადარიგოთა სკამზე, ილჰან მანსიზი ათამაშეო. აქამდე მატჩის მიწურულს შეჰყავდა მანსიზი მწვრთნელს. ამჯერად ოცი წუთით ადრე შეუშვა. ილჰანმა შესვლისთანავე სილვას თავზე გადაუგდო ბურთი, ოღონდ თვალმა უმტყუნა.

დრო ილეოდა, ტემპმა ოდნავ იკლო და სიფრთხილემ იმატა. სენეგალელებმა ორჯერ მაინც გაიშლიგინეს მეტოქის საჯარიმოში. კამარას რუშთუმ არ გაატანინა. აი, ელ-ჰაჯი დიუფს კი... ოჰ, ელ-ჰაჯი. იგი სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე ერთი მცველის წინ აღმოჩნდა, მაგრამ ველარ შეძლო ის, რასაც აქამდე სიამოვნებით და თავდაჯერებით აკეთებდა — მცველის ჩამოშორება, კარში დარტყმა და, სენეგალი პირველი აფრიკელი ნახევარფინალისტი გახდებოდა. არ ეწერათ.

დაიწყო დამატებითი დრო, ანუ ნერვების წყვეტა „ოქროს გოლამდე". გოლმა არ დაახანა. ოსმალო ილჰან მანსიზმა მუხანათურად ისეთი დაახალა მეტოქეს, რომ ბრწყინვალედ მოთამაშე ტონი სილვას შანსიც კი არ დაუტოვა.



ემრე ბელოზოღლუმ და ხალილუ ფადიგამ ხელები გაშალეს და ბურთისთვის დაიჭიდნენ

## სტენოგრამა

### ბრუნო მეტიუ
*სენეგალის ნაკრების მწვრთნელი*

ახლა, როცა ყველაფერი დასრულდა, მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ფეხბურთელებს. ისინი გმირები არიან, მათით ვამაყობ.

თურქეთი ძალიან ძლიერი გუნდია, ბევრი მსოფლიოს დონის ფეხბურთელი ჰყავს. ისინი მაღალი ინდივიდუალური ოსტატობით გამოირჩეოდნენ, რამაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. აქამდე თურქებს ერთხელ, ისიც ბრაზილიასთან წაუგიათ, რაც მათ სიძლიერეზე მეტყველებს. არც ჩვენ გვყავდა სუსტი მეტოქეები, თუმც თურქეთი ყველაზე უხერხული მოწინააღმდეგე აღმოჩნდა.

სენეგალმა ამ ჩემპიონატზე ბევრი აალაპარაკა, შედეგით კმაყოფილი ვარ. 50 დღეზე მეტია, ერთად ვართ, ერთ ოჯახად ჩამოვყალიბდით. ახლა დავისვენებთ და 2004 წელს ტუნისში გასამართ აფრიკის ეროვნებათა თასისთვის მოვემზადებით.

### შენოლ გიუნეში
*თურქეთის ნაკრების მწვრთნელი*

მოხარული ვარ, რომ თურქული ფეხბურთის აღორძინების პერიოდში ნაკრებს ვხელმძღვანელობ. ჩვენი ნაკრები არასდროს ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორიც ახლაა.

სენეგალი არ იყო ურიგო გუნდი, თუმც მაინც ვერაფერს გახდა, რადგან ჩვენ ტურნირის საუკეთესო მატჩი ვითამაშეთ. რთული ნახევარფინალი გველის, მაგრამ კარგია, ბრაზილიას რომ ვხვდებით, მასთან ჯგუფშიც ხომ ვითამაშეთ. ის შეხვედრა ჩვენ არ უნდა წაგვეგო, მსაჯს რომ არ აერ-დაერია საქმე. ვფიქრობ, თანაბარი შანსები გვაქვს. მაინც მგონია, ჩვენ გავიმარჯვებთ და ფინალში გავალთ.

## მატჩის შემდეგ

**პირველი წუთი:** პაპე ბუბა დიოპის თავური კარს ასცდა.

**მე-7 წუთი:** შაში-დავალა-ბაშთურქის სახიფათო შეტევა უშედეგო დარტყმით დასრულდა.

**მე-17 წუთი:** ანრი კამარამ 20 მეტრიდან დაარტყა. მეკარემ იმარჯვა.

**მე-20 წუთი:** ანრი კამარას გატანილი გოლი მსაჯმა სამართლიანად არ ჩათვალა — სენეგალელი აშკარა თამაშგარეში იყო.

**25-ე წუთი:** ხალილუ ფადიგას სახიფათო გადაცემას ვერავინ გამოეხმაურა.

**27-ე წუთი:** ჰასან შაშმა კარის წინ ჰაქან შუქურს დაუგორა, თუმც ამან ბურთი ვერ გააჩერა.

**29-ე წუთი:** ჰასან შაშის ჩაწოდებულს ჰაქან შუქური ვერ მისწვდა.

**39-ე წუთი:** ჰაქან შუქურმა კიდევ ერთი ხელსაყრელი მომენტი გააცუდა.

**44-ე წუთი:** ილდირაი ბაშთურქმა მეკარეს დაასწრო და თავური დაჰკრა, თუმც ბურთი ცარიელი კარიდან ომარ დაფმა გამოიტანა.

**45-ე წუთი:** ელ-ჰაჯი დიუფი პირისპირ გავიდა, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა.

**53-ე წუთი:** ელ-ჰაჯი დიუფის საჯარიმო დარტყმა კარს ასცდა.

**54-ე წუთი:** ილდირაი ბაშთურქმა მცველი იოლად ჩამოიშორა, თუმც კარში დარტყმა არ გამოუვიდა.

**56-ე წუთი:** ალიუ სისემ კარს გადააცილა.

**69-ე წუთი:** ილჰან მანსიზის დარტყმამ მიზანს ვერ უწია.

**მე-80 წუთი:** სალიფ დიაოს გასროლილი არაზუსტი გამოდგა.

**88-ე წუთი:** დავალა უმითმა კარს ააცილა.

**90-ე წუთი:** ანრი კამარას მეკარემ აუღო.

**91-ე წუთი:** ანრი კამარას რუშთუ რეჩბერმა დაასწრო.

**92-ე წუთი:** თუგაის სახიფათო დარტყმულმა ძელს ჩაუქროლა.

**94-ე წუთი:** დავალა უმითის პასს ილჰან მანსიზმა ერთი შეხებით სენეგალელთა კარში მიუჩინა ადგილი.

## მეოთხედფინალის სიმბოლური ნაკრები („სარბიელის“ ვერსია)




## იუბილარები



### ესტანისლაო სტრუვაი
### (პარაგვაი) 25.06.1968

სტრუვაი წლევანდელ მუნდიალზე მოთამაშეთაგან ერთ-ერთი ყველაზე ასაკოვანია და თავისი ნაკრების მაისურა პირველად თერთმეტი წლის წინ მოირგო. მაშინ, როცა მისი თანაგუნდელი როკე სანტა კრუზი სულ ათი წლის იყო. ახლა სტრუვაი მშობლიურ „ლიბერტადში“ თამაშობს, თუმცა კარიერის მანძილზე კარგიც ბევრი უნახავს და ცუდიც. ამ ათლეტურ ნახევარმცველს პარაგვაულ „სერო პორტენიოში“, არგენტინულ „რასინგში“, პერუულ „სპორტინგ კრისტალსა“ და ბრაზილიურ „კურიტიბაშიც“ უთამაშია. „ლიბერტადში“ კი 2001 წლის იანვარში გადავიდა. მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე კი იმით გამოირჩა, რომ სამხრეთ აფრიკასთან მატჩში საკუთარი კარი დალაშქრა.



### თომას ჰელვეგი
### (დანია) 24.06. 1971

ჩვენი კახა კალაძის მილანელი თანაგუნდელი, მარჯვენა მცველი თომას ჰელვეგი დანიელთა ერთ-ერთი უპირველესი ვარსკვლავია. ეროვნულ გუნდში 1994 წლიდან თამაშობს და ზურგს საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის გამოცდილებაც უმაგრებს. თამაში „ოდენსეში“ დაიწყო, 1993-ში იტალიაში გადაბარგდა და ხუთი წლის მერე „უდინეზესთან“ ერთად სერია A-ს ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მერე მწვრთნელ ალბერტო ძაკერონის „მილანში“ გადაჰყვა და 1999-ში სკუდეტოც მოიგო. დღეისთვის ევროპის საუკეთესო მცველთა შორისაა. წლევანდელ მუნდიალზე ოთხი მატჩი ითამაშა.



### ტაბო მნგომენი
### (სამხრეთ აფრიკა) 24.06.1969

მნგომენი 29 წლის იყო, როცა ეროვნულ გუნდში მიიწვიეს. „ბაფანა ბაფანას“ მაისურა პირველად 1998 წლის ოქტომბერში მოირგო ანგოლის წინააღმდეგ. ამ ოთხ წელიწადში თავისი ქვეყნის სახელით 38-ჯერ ითამაშა და 6 გოლი გაიტანა. კორეა-იაპონიის მუნდიალზე სამივე მატჩში სათადარიგო იყო, თუმცა სამშობლოში ერთობ დაფასებული კაცია, „ორლანდო პაირატსის“ კაპიტანია და ამ გუნდთან ერთად შარშან სამხრეთ აფრიკის ჩემპიონიც გახდა. მნგომენი თურმე საუცხოო ფიზიკური მონაცემებით და ჰაერში კარგი თამაში გამოირჩევა.



### დმიტრი სენიკოვი
### (რუსეთი) 24.06.1976

დმიტრი 25 წლისაა, თუმცა რუსეთში მას კვლავაც ახალი თაობის წარმომადგენლად მიიჩნევენ. ნაკრებში პირველად წლეულს მარტში ითამაშა ესტონეთთან ამხანაგურ მატჩში, იაპონიაშიც მოედანზე ერთხელ, ბელგიასთან რუსებისთვის ავადსახსენებელ შეხვედრაში გამოჩნდა შეცვლაზე, მაგრამ თავისიანებს დიდი ვერაფრით დაეხმარა. პეტერბურგში დაბადებულს თავის დროზე ცსკა-ში, „შინიკში“ და დაბალლიგელ „რუბინშიც“ უთამაშია, ამჟამად კი მოსკოვის „ლოკომოტივის“ მცველია. შარშან რკინიგზელებთან ერთად რუსეთის თასიც მოიპოვა.



### სილვენ ნდიაიე
### (სენეგალი) 25.06.1976

ნდიაიე პარიზში დაიბადა და სენეგალში პირველად შარშან დეკემბერში ჩავიდა, როცა მწვრთნელმა ბრუნო მეტსუმ ეროვნულ გუნდში მიიწვია. ეს ამბავი ალჟირთან ამხანაგურ მატჩში მოხდა. სენეგალიდან საფრანგეთში მისი ბაბუა ჩასულა და მერე ნდიაიეებს ისტორიულ სამშობლოსთან არანაირი კავშირი აღარ ჰქონიათ. წლეულს სენეგალელებმა მთელი მსოფლიო გააკვირვეს, თუმცა სილვენი თანაგუნდელთა ყოჩაღობას სათადარიგოთა სკამიდან უცქერდა. ისე გამოცდილება არ დაეწუნება და შარშან „ლილთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგაშიც ითამაშა.



### ფედერიკო ელდუაიენი
### (ურუგვაი) 25.06.1977

ელდუაიენი მონტევიდეოს „პენიაროლის“ მეკარეა და თავის ქალაქში პატივცემული კაციცაა, თუმცა ეროვნულ გუნდში მხოლოდ ერთხელ, წლეულს 21 მაისს ითამაშა სინგაპურის წინააღმდეგ. შესარჩევი ციკლის განმავლობაშიც სათადარიგო იყო და კორეაშიც იუვენტუსელი ფაბიან კარინის შემცვლელად გაემგზავრა. თუ ურუგვაელ კოლეგებს ვერწმუნებით, კარგი რეაქცია და პოზიციის შერჩევის უნარი აქვს.



რივალდოც ხუთგოლიაა

## სადღეისო ვითარება

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 5 | რონალდო | (ბრაზილია) |
| | რივალდო | (ბრაზილია) |
| | მიროსლავ კლოზე | (გერმანია) |
| 4 | იონ დალ ტომასონი | (დანია) |
| | კრისტიან ვიერი | (იტალია) |
| 3 | პაპე ბუბა დიოპი | (სენეგალი) |
| | რაული | (ესპანეთი) |
| | ფერნანდო მორიენტესი | (ესპანეთი) |
| | ჰენრიკ ლარსონი | (შვედეთი) |
| | მარკ ვილმოტსი | (ბელგია) |
| | რობი კინი | (ირლანდია) |
| | პედრუ პაულეტა | (პორტუგალია) |

### ავტოგოლი

| | | |
|---|---|---|
| 1 | ესტანისლაო სტრუვაი | (პარაგვაი) |
| | ჟორჟე კოშტა | (პორტუგალია) |
| | ჯეფ აგოსი | (აშშ) |
| | კარლეს პუიოლი | (ესპანეთი) |

### წითელი ბარათი

1 — ბორის ჟივკოვიჩი (ხორვატია)
ალპაი ოზალანი (თურქეთი)
ჰაქან უნსალი (თურქეთი)
სალიფ დიაო (სენეგალი)
ტიერი ანრი (საფრანგეთი)
კარსტენ რამელო (გერმანია)
პატრიკ სუფო (კამერუნი)
კლაუდიო კანიჯა (არგენტინა)
კარლოს პარედესი (პარაგვაი)
ნასტია ჩეჩი (სლოვენია)
შაო ჯიაი (ჩინეთი)
ჟოაუ პინტუ (პორტუგალია)
ბეტუ სევერუ (პორტუგალია)
რობერტო აკუნია (პარაგვაი)
რაფაელ მარკესი (მექსიკა)
ფრანჩესკო ტოტი (იტალია)
რონალდინიო (ბრაზილია)

## სტატისტიკა

*ჩატარდა — 60 მატჩი, 44 მოგება, 16 ფრე*
*სულ გავიდა 152 გოლი, საშუალოდ მატჩში — 2.53*
*პირველ ტაიმში გავიდა 65 გოლი, მეორეში — 84*
*დაფიქსირდა 3 ოქროს გოლი*
*პენალტების სერია — 2 ( ესპანეთი — ირლანდია, ესპანეთი — ს. კორეა)*
*ყველაზე სწრაფი გოლი — პოლონელი ემანუელ ოლისადებე (მე-3 წუთზე, I ტურში აშშ-სთან)*
*ყველაზე შედეგიანი გუნდი — ბრაზილია (15 გოლი)*
*ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი — მიროსლავ კლოზე (გერმანია) , რონალდო (ბრაზილია), რივალდო (ბრაზილია) 5-5 გოლი*
*ყველაზე მეტჯერ კარისკენ დარტყმა — გერმანია (72)*
*ყველაზე მეტჯერ კარისკენ დარტყმა — კრისტიან ვიერი (იტალია, 19)*
*ყველაზე მეტჯერ კარში დარტყმა — ესპანეთი (37)*
*ყველაზე მეტჯერ კარში დარტყმა — რონალდო (ბრაზილია, 14)*
*ყველაზე ცოტა კარისკენ დარტყმა — ჩინეთი (19)*
*ყველაზე ცოტა კარში დარტყმა — ტუნისი (6)*
*ყველაზე უხეში მატჩი — იაპონია — რუსეთი (62 ჯარიმა)*
*ყველაზე უხეში გუნდი — ს. კორეა (104 ჯარიმა)*
*ყველაზე უხეში ფეხბურთელი — კლებერ კალა (ეკვადორი, 17)*
*ყველაზე მეტჯერ ეუხეშნენ — ელ-ჰაჯი დიუფი (სენეგალი, 22)*
*ყველაზე კორექტული მატჩი — ნიგერია — ინგლისი (19 ჯარიმა)*
*დაფიქსირდა 17 წითელი და 246 ყვითელი ბარათი*
*ყველაზე მეტი ყვითელი ბარათი — მესამე ტურის კამერუნი — გერმანია (16)*
*მეორე ტურის გერმანია — ირლანდიის და მესამე ტურის ნიგერია — ინგლისის მატჩებში მსაჯს არავინ გაუფრთხილებია*
*ყველაზე „ყვითელი“ გუნდი — თურქეთი (14)*
*4 ავტოგოლი — (ესტანისლაო სტრუვაი, პარაგვაი; ჟორჟე კოშტა, პორტუგალია; ჯეფ აგოსი, აშშ; კარლეს პუიოლი, ესპანეთი)*
*პროცენტულად ყველაზე მეტჯერ ბურთს ფლობდა მექსიკა (67, აშშ-თან)*
*ყველაზე მეტი კუთხური — ს. კორეა (37)*
*ყველაზე ნაკლები კუთხური — საუდეთი (4)*
*ყველაზე მეტჯერ, 26-ჯერ მოხვდა თამაშგარე მდგომარეობაში ბრაზილია*
*ყველაზე ნაკლებად, 3-ჯერ მოხვდა თამაშგარე მდგომარეობაში სლოვენია*
*ჩემპიონატის რეკორდული შედეგი — გერმანია 8:0 საუდეთი*
*უგოლოდ დასრულდა მეორე ტურის საფრანგეთი — ურუგვაი, მესამე ტურის ნიგერია — ინგლისი, მეოთხედფინალური ესპანეთი — ს. კორეა*

**კორეა-იაპონია 2002**
**ნახევარფინალი. №61**

## გერმანია — ს. კორეა

დღეს. სეული (კორეა). „სეულ უორლდ კაფ სთედიუმ". 16.30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| კანი, ლინკე, კელი, მეცელდერი, ფრინგსი, შნაიდერი, ჰამანი (ან იერემისი), ბალაკი, ციგე, კლოზე, ნოივილი | ვ. ლი, ჯ. ჩოი, მ. ჰონგი, ტ. კიმი, პარკი, იოო, ჩ. სონგი, ი. ლი, ე. ლი, ანი, სეოლი |
| მწვრთნელი: რუდი ფიოლერი | მწვრთნელი: გუს ჰიდინკი |

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

**ურთიერთშეხვედრები**

| | | |
|---|---|---|
| 1994 | მჩ | გერმანია 3:2 ს. კორეა |

შენიშვნა: მჩ — მსოფლიოს ჩემპიონატი



იენს იერემისი სავარაუდოდ დაშავებულ დიტმარ ჰამანს შეცვლის



გუს ჰიდინკი ფინალზე თამამად ალაპარაკდა

# კორეა: სიწითლე და ნორჩი ძაღლები

## გერმანია: წვრილთვალება დაუღლელია, სილამაზე დაუთვლელი, გერმანია დაუთრგუნველი

**დავიწყოთ იმით,** რომ გერმანიისთვის დღეს მეათე ნახევარფინალია მსოფლიოს ჩემპიონატებზე, ფინალში კი ბუნდესნაკრებს ექვსჯერ უთამაშია, ხოლო კორეა პირველადაა ნახევარფინალში.

მაგრამ სტატისტიკური ფილოსოფია ამ მუნდიალზე ვგონებ, საერთოდ არ ჭრის, კორეა-იაპონიაში განსაკუთრებული ჩემპიონატი მიდის და ვინძლო ასეთი ხიბლი კვლავაც შერჩეს ტურნირს.

ჰოდა, შანსებზე ლაპარაკი უხერხულიცაა, მერე რა, რომ გერმანია გერმანიაა, კორეა კი კორეა. დღეს, ზოგადად რომ ვთქვა, სხვა დროა, ძალიან სხვა დრო.

გერმანელებს დღით მეტმა მოუწიათ მეოთხედფინალის შემდეგ საამმატჩოდ დასვენება. ჯგუფში ჩატარებული მატჩების შემდეგ რუდი ფიოლერის გუნდი საკურორტო კუნძულ ჩეჯუში დაბანაკდა, საიდანაც გუშინ აიბარგა და სეულში დაბინავდა.

„ნაციონალმანშაფტს" ერთი პრობლემა აქვს — გუნდის საყრდენი ნახევარმცველის დიტმარ ჰამანის თამაში დღეს საეჭვოა. წინა შეხვედრაში ამ 28 წლის ლივერპულელმა მუხლის ტრავმა მიიღო, მყესები დაუზიანებია და რუდი ფიოლერიც ძალიან ცქმუტავს: „კვირას მან მსუბუქად ივარჯიშა, მაგრამ მისი თამაში სათუოა და საბოლოო გადაწყვეტილებას მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე მივიღებთ. ჰამანი მნიშვნელოვანი ძალაა გუნდისთვის, მისი არყოფნა ჩვენთვის დიდი დარტყმა იქნება, მაგრამ ჰამანი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითამაშებს, თუ ასი პროცენტით მზად იქნება".

თუ ჰამანი ვერ შეძლებს კორეელებთან ჭიდილს, მას უთუოდ იენს იერემისი შეცვლის. ის იერემისი, რომელიც აშშ-სთან მატჩში ყვითელ ბარათს შემთხვევით გადაურჩა. შეხვედრის 68-ე წუთზე სწორედ იერემისმა იუხეშა, მაგრამ მატჩის არბიტრმა „ყვითელი" ოლივერ ნოივილს დაანათა. გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ამასთან დაკავშირებით აპელაცია შეიტანა ფიფაში, რომელსაც დისციპლინარული კომიტეტი დღეს განიხილავს. ნოივილი კი მაინც ითამაშებს, რადგან ეს მისი პირველი გაფრთხილება იყო.

მწვრთნელ-ფეხბურთელთა წინასამატჩო რიტორიკაზეც ვთქვათ. კორეაში გაკერპებულმა კაცმა, ეროვნული ნაკრების ჰოლანდიელმა დამრიგებელმა გუს ჰიდინკმა გერმანელებს ჰაერში თამაში და, შესაბამისად, კლოზე და ბალაკი შეუქო. მეტოქეზე ისიც დასძინა, არასანაზაობრივ, მაგრამ ეფექტურ ფეხბურთს თამაშობს, ხოლო მატჩის დღეს თუ წვიმა წამოვა, ამან ეგებ ჩვენ გვახეიროს, ან პირიქით გერმანელებიო. ჰიდინკმა ისიც თქვა, შეხვედრა კორეის დედაქალაქში ჩატარდება და ჩემ ფეხბურთელებსაც ერთი სული აქვთ, მინდორზე როდის გავლენო. გუსის ნაამბობიდან კი ერთი ფრაზა მართლაც ექსცენტრული იყო: „ამ მატჩსაც ახალგაზრდა ძაღლების ხროვასავით მივუახლოვდებით".

კორეელთა ფორვარდი სუნ-ჰონგ ჰვანგი კი ასე აპირებს გერმანელთა დამარცხებას: „თუ ძველებურ საბრძოლო განწყობას შევინარჩუნებთ, ნებისმიერ მეტოქეს ვძლევთ. ვფიქრობ, რომ გერმანელთა დაცვის გარღვევა ფლანგებიდანაა შესაძლებელი".

სისწრაფე, ზუსტი პასები, ჰიდინკის სიბრძნე და არანორმალური გამძლეობა — აი, ამით დაუპირისპირდება კორეა გერმანულ მანქანას და კიდევ იმით, რომ შინ თამაშობს. ყველაფერ ამით ჰიდინკის ნაკრებმა ოთხ ევროპულ გუნდს მოუგო მუნდიალზე და რუდი ფიოლერს ძალიან არ უნდა, კორეელთა მეხუთე მსხვერპლი გახდეს: „კორეელები მანამდე ირბენენ, სანამ არ დაეცემიან და ჩვენ დაცვაში ერთობ კომპაქტურად უნდა ვიმოქმედოთ. შესაძლოა, უპირატესობას ვფლობთ იმით, რომ კორეამ ორჯერ ითამაშა დამატებით დროში, მაგრამ მისი ფეხბურთელები დაღლილად არ მეჩვენებიან".

მიხაელ სკიბე, ფიოლერის თანაშემწე: „კორეელებს წარმოუდგენელი გამარჯვების მენტალიტეტი აქვთ. მათ მხოლოდ ერთი მიმართულება იციან — გზა, რომელიც წინ მიდის".

მრავლისმნახველი ოლივერ კანი კი დასძენს: „ის ვნება და ემოცია, რის გარემოცვაშიცაა კორეის გუნდი, მანამდე არასდროს მინახავს".

თუ როგორ მოუგო კორეამ ჯერ იტალიას და მერე ესპანეთს, ვინძლო კამათისთვისაც არ გამოდგეს. „წითელი ეფექტი" — აი, ასეთი ორსიტყვიანი ცნებაც გამოაცხვეს ამ საკითხის გამო, წითელ ფორმებში გამოწყობილი კორეის ნაკრები და მათი მხარდამჭერი ტრიბუნები — სიწითლითა მსაჯობას ჩემპიონატი ვერ დაუმშვენებიაო.

„წითელი ეფექტის" ფაქტორზე კანსაც დაეკითხნენ და გერმანელთა კაპიტნისგან პასუხიც მიიღეს: „ეს ნორმალურია, ამას მასპინძელი გუნდის უპირატესობა ჰქვია და თუ ეს მოხდება, არავის და არაფერს არ უნდა მივცეთ უფლება, ჩვენი დემორალიზება გამოიწვიოს".

ბოლო ორ შეხვედრაში უგოლოდ დატოვა მინდორი მიროსლავ კლოზემ, რომელსაც რივალდო-რონალდო ბომბარდირულად გაუთანაბრდნენ. კლოზესგან დღეს, მესამე ცდაზე ელიან ნავსის გატეხვას, მაგრამ გერმანელებს არანაკლებ ეიმედებათ მიხაელ ბალაკისაც — ამ ნახევარმცველს ხომ ფორვარდივით ბევრი გოლი გააქვს. ყოველკვირეულმა გერმანულმა გამოცემა WELT AM SONTAG-მა ინტერვიუ ჩამოართვა ბალაკს, რომელსაც ფრაგმენტის სახით გთავაზობთ.

**— თქვენი აზრით, რომელი იყო უფრო დიდი სენსაცია ტურნირზე — საფრანგეთისა და არგენტინის გავარდნა თუ გერმანიის ნახევარფინალში გასვლა?**

— ერთიც და მეორეც. ჩემპიონატმა დაგვანახა, რომ იმ გუნდების დამარცხება, რომლებიც ადრე ციდან ვარსკვლავებს ვერ წყვეტდნენ, მხოლოდ ასპროცენტიანი ფიზიკური ფორმითა და აბსოლუტურად კარგი ფსიქოლოგიური განწყობითაა შესაძლებელი. სხვაგვარად ხეირი არ იქნება. ნახევარფინალში გასვლა კი თვითონ ჩვენთვისაც სასიამოვნო სიურპრიზია.

**— მიუხედავად ამისა, გერმანიის ნაკრებს მაინც აკრიტიკებენ...**

— აი, ზუსტად ეგ არ მესმის. მართალია, პარაგვაისთან და ამერიკასთან ისე კარგად ვერ ვითამაშეთ, როგორც გვსურდა, მაგრამ მთავარი ხომ შედეგია. სათვალავში მატჩის ანგარიში მიიღება და არა ლამაზი თამაში. ტიტულებს ლამაზი თამაშისთვის რომ იძლეოდნენ, „ლევერკუზენი" ამ სეზონში სამ ტიტულს მოიგებდა, ხოლო ბრაზილია სულ მსოფლიოს ჩემპიონი იქნებოდა, რადგან ინდივიდუალიზმის მხრივ მათ ბადალი არ ჰყავთ.

**— კორეასთან მატჩზე რას იტყოდით?**

— კორეას სეულში ვეთამაშებით — ეს არაორდინალური ამბავია. კორეელები ძალიან სწრაფნი და დინამიურები არიან. ერთი შეხედვით მათ მაღალი ფეხბურთელები არ ჰყავთ, მაგრამ მათგან რამდენიმე მოთამაშეს შეუძლია ზედა სართულზე კარგი თამაში. მეტოქის შეუფასებლობა არ ეგების. ჩვენ კი ძლიერები ვართ სტანდარტულ სიტუაციებში და ამის გამოყენებას შევეცდებით.

**— ჩემპიონატის ფინალში ვინ გავა?**

— იმედია, ერთ-ერთი ფინალისტი ჩვენ ვიქნებით. ფინალში ბრაზილიასთან თამაში კი მართლაც ღირს ოცნებად.

**დავით თავართქილაძე**



მიხაილ ბალაკი ბრაზილიასთან ფინალზე ოცნებობს



იუნგ-ჰვან ანი კორეელთა მთავარმეგოლეა

ვანო ოქროპირიძე
ბერლინიდან

# კანტასტიკა
## ოლი ცოცხლობს, ოლი მოიგებს

*„ბოდიში ამერიკელებო, თქვენ ძალიან სიმპათიურები ხართ, თუმცა თქვენს ბიჭებს — მიკი მაუსის, კოკა კოლასა და ჰამბურგერების ქვეყნიდან დღეს უნდა გადავუაროთ" — დაწერა „ბილდმა" გერმანია — აშშ-ის მეოთხედფინალური მატჩის წინ.*

*„ბილდის" დაპირება დაპირებად დარჩა, ევროპელებმა ამერიკელებს ნამდვილად ვერ გადაუარეს, მაგრამ მიზანს კი მიაღწიეს. მე თუ მკითხავთ, ამ შეხვედრას ყველაზე კარგი კომენტარი ესპანურმა „ელ პაისმა" გაუკეთა. „გერმანელები ფეხბურთის ნაცვლად რაღაც სხვას თამაშობენ, მაგრამ ბოლოს მაინც იგებენ" — წერს გაზეთი.*

**გერმანელები** ვერც ამ მატჩს შეხვდნენ მცირე სკანდალის გარეშე. გახსომებათ, ჯერ იყო და ოლივერ ბირჰოფი ამხედრდა, რითი მჯობია იანკერი, ძირითად შემადგენლობაში რომ თამაშობსო. ფიოლერმა ეგ სკანდალი კი ჩააცხრო, მაგრამ ზედ ამერიკელებთან თამაშის წინ, კლოზე გაუდიდგულდა. „ნოივილის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ თავდასხმაში მის მეწყვილეობას იანკერთან ერთად თამაში მირჩევნია. კარსტენი კარისკენ გზებს მიხსნის და მეც გოლების გატანა უფრო მიიოლდება, ნოივილი კი, როდის რას აკეთებს, ვერ ვიგებ" — განაცხადა ჩემპიონატის ბომბარდირმა სატელევიზიო ინტერვიუში, რითაც იანკერის გული მოიგო.

მიროს ნათქვამმა გამახარა, მაგრამ სამწუხაროა, რომ გადამწყვეტი სიტყვა მას კი არა, ფიოლერს ეკუთვნისო, განაცხადა ბავარიელმა. ნოივილმა კი აღნიშნა, მგონი, პარაგვაელებთან ჩემი თამაშით და გოლით ძირითად შემადგენლობაში ადგილი დავიმსახურეო. საბოლოოდ ასეც მოხდა, ფიოლერმა ზედიზედ სამ შეხვედრაში არაფრისმაქნის იანკერს, პარაგვაისთან გამარჯვების გოლის გამტანი არჩია.

პარასკევის „ბერლინერ კურიერმა" პირველ გვერდზე გერმანიის ნაკრები კოვბოის ტანსაცმელში გამოპრანჭა, ხელში იარაღი აალებინა და დიდი ასოებით წააწერა: „დღეს გიჩვენებთ, ვინ უფრო სწრაფად ისვრის". იქვე გაზეთს თამაშისწინა პერიპეტიები აქვს აღწერილი, ბოლოს კი დასძენს, ამერიკელებს ერთი უპირატესობა აქვთ, კერძოდ ის, რომ სექსუალურად დაკმაყოფილებულნი არიანო. ამერიკელთა თავკაცი ბრიუს არენა მაგ ამბავში ფრიად გარკვეული კაცი ყოფილა და ჩემპიონატის წინ თავისი ფეხბურთელებისთვის უთქვამს, ვისაც მოთმენა არ შეგიძლიათ, ცოლები წამოიყვანეთ, იქაურ ბორდელებში ბოდიალი არ დაიწყოთო. მაგის თქმა იყო და, ყველა ფეხბურთელს ცოლისა თუ მეგობარი გოგონასთვის მოუკიდია ხელი. არენა იმდენად დემოკრატი ყოფილა, უთქვამს, თუ გინდათ, ჩვენს სასტუმროში დააბინავეთ გოგონები, ოღონდ სხვა სართულზეო.

ამ დროს კი გერმანელები ქალებთან ნებივრობაში შეზღუდულნი არიან. თუმცა ფიოლერი რომ არც ისე მკაცრია, ის ფაქტი მოწმობს, რომ ნოივილი და შნაიდერი სიგარეტს ლამის სახეში აბოლებენ. მათ მოწევა მწვრთნელმა მხოლოდ გასახდელში და ავტობუსში აუკრძალა.

სხვათა შორის, მატჩის წინ ამერიკელებმა დროებით, სახელმწიფოს ნომერ პირველ მტრად, საერთაშორისო ტერორისტ ოსამა ბინ ლადენის მაგივრად, მეკარეების დამწიოკებელი მიროსლავ კლოზე გამოაცხადეს. ბრიუს არენას ყველაზე მეტად მისი ნეიტრალიზების პრობლემა აწუხებდა და სინანულით აღნიშნავდა, ცუდია, რომ „ლოს ანჯელეს ლეიკერსიდან" გიგანტი შაკილ ონილის მოწვევის უფლება არ მაქვს, თორემ ვნახავდი, რამდენჯერ შეეხებოდა კლოზე ბურთს თავითო.

პრობლემები რომ ფიოლერსაც თავზე საყრელი ჰქონდა, ბილდელებმა იქიდანაც დაასკვნეს, რომ სასტუმროს ნომერში, სადაც გერმანელთა თავკაცი ცხოვრობდა, თამაშის წინა ღამეს შუქი გამთენიისასლა ჩაქრა. არ გვგონია, რუდის პორნოფილმებისთვის ეყურებინაო, წერს გაზეთი. „ბილდმა" მატჩისწინა დახურული ვარჯიშის ფოტოებიც მოიპოვა და მკითხველს ანახა, თუ როგორ ვარჯიშობდა ეროვნული გუნდი თერთმეტმეტრიანებზე. ფოტოს ასეთი წარწერა ამშვენებდა, ამერიკელებთან პენალტების სერიამდე საქმის მიყვანა არ გვეკადრებაო. კიდევ ერთი, რაც გერმანელებს თამაშის წინ აფრთხობდათ, ამერიკელთა მეკარის ბრედ ფრიდელის გამონათქვამი იყო. ფრიდელმა ევროპელებს მაზოლზე ფეხი დააჭირა, როცა გერმანია — ინგლისის სექტემბრის მატჩი ახსენა. ცხადად მახსოვს, ინგლისელებმა როგორ გადასანსლეს გერმანელები, იგივე ჩვენც შეგვიძლია, მთავარია, შესვენებამდე არ გავატანინოთ გოლიო. ფრიდელი იმასაც ამბობდა, ამერიკისთვის საერთოდ შეუძლებელი არაფერია და ქვეყანამ თუ ფეხბურთშიც გაბატონება მოინდომა, მაგასაც შეძლებსო. გერმანელები აღნიშნავდნენ, ეგ კაცი წესით ჩვენს ნაკრებში უნდა თამაშობდეს და ეგრეც იქნებოდა, მისი წინაპრები მე-18 საუკუნის მიწურულს მიუნხენიდან ამერიკაში რომ არ გადასახლებულიყვნენო.

შეხვედრის ბედი კი მართლაც მეკარემ გადაწყვიტა. ოღონდ გმირი არა ფრიდელი, არამედ, ოლივერ კანი გახდა. გაზეთებმაც გამარჯვების შემოქმედად კანი მონათლეს, რომლისთვისაც ეს მატჩი 50-ე სანაკრებო იყო. „კანი ამერიკის წინააღმდეგ — 1:0" — წერს „ბერლინერ ცაიტუნგი". „კანმა დაამარცხა ამერიკა" — ასეთი სათაური ამშვენებს „ბილდის" პირველ გვერდზე ხელებაღმართული კანის ფოტოს. „გერმანია ნახევარფინალში გადარახხდა" — აღნიშნავს „ტაგესშპიგელი". „ოლი რომ არა, ახლა დიდი ხანია, სახლში ვიქნებოდით. მე მრცხვენია ამ ნაკრების" — ეს კი თავად ფრანც ბეკენბაუერმა დაწერა თავის სტატიაში. „ბილდი" კი აღნიშნავს: „ზიდანი, ტოტი, ფიგუ, ბატისტუტა და ბექემი სახლში არიან. ჩვენ კი ისევ იქ ვართ. ჩვენ ვანცვიფრებთ საფეხბურთო მსოფლიოს. ბოდიში ფრანგებო, იტალიელებო, ინგლისელებო და არგენტინელებო, მაგრამ ჩვენ ასეთი მოგება გვირჩევნია, ლამაზ წაგებას. ჩვენს წარმატებას ერთი ოთხასოიანი პასუხი აქვს — კანი. ის, რასაც კანი აკეთებს, ფანტასტიკა კი არა კანტასტიკაა!"

რუდი ფიოლერი კი დასძენს, ასე გაგრძელება არ შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ნახევარფინალი ბოლო გაჩერება იქნებაო. „ერთადერთი დადებითი, რასაც ჩვენს თამაშში ვხედავ, შედეგია. ასე არასდროს მინერვიულია" — აცხადებს ფიოლერი.

ოლივერ კანი კი ამბობს: „ თამაში მორჩა თუ არა, მინდორზე დავწექი, ზეცას შევყურებდი და ბედნიერი ვიყავი. ისეთი სიმსუბუქე არასოდეს მიგრძვნია. თამაში ცოტა ხანს კიდევ რომ გაგრძელებულიყო, გავგიჟდებოდი. მართალია, ისე არ დავრბივარ, როგორც დანარჩენი ათი ფეხბურთელი, მაგრამ წარმოუდგენელ ფსიქოლოგიურ ზეწოლას განვიცდი. თამაშის მერე არც გვიზეიმია, ძალა აღარ გვქონდა, გამოფიტულები ვიყავით. მართალია, ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ მე ვამყობ ჩვენი გუნდით. თავიდან ჯგუფიდან გასვლისაც კი ცოტას სჯეროდა, ახლა ხომ ხედავენ, რომ ყველაფერი შეგვიძლია."

კანს არაფერი უთქვამს თავის თამაშზე. იგი ამაზე ლაპარაკს ყოველთვის ერიდება. რამდენჯერაც უკითხავთ, ყოველთვის სხვა თემაზე გადაუტანია ლაპარაკი. ისე, მას საკუთარ თავზე საუბარი რაში სჭირდება, როცა... „კანმა გერმანია სიკვდილს გადაარჩინა", „ოლი დანარჩენი მსოფლიოს წინააღმდეგ", „იგი ღმერთია", „გერმანიას გორილა იცავს", „ნახევარფინალში გერმანია არ გასულა, იქ კანი გავიდა", „მას ახლავე ძეგლი ეკუთვნის" — წერს გერმანული პრესა მეკარეზე, რომელმაც ხუთ მატჩში ერთი გოლი გაუშვა, ყველაზე მეტი — ექვსი „მკვდარი" ბურთი მოიგერია და საერთოდ, დარტყმების 93 პროცენტს გადაელობა — ეს კანტასტიკაა!

კანი კი ამბობს: „სადაც ჩემზე საუბრობთ, იქ ჩემს თანაგუნდელებზეც თქვით, მათ გარეშე ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა. ახლა, რომ ისე ვერ თამაშობენ, ნუ გამტყუნებთ, მთელი სეზონი არ გაჭირვებულან, მაგრამ დაიმახსოვრეთ, ჩვენ კიდევ ვჩვეთდებით."

„ბილდ ამ ზონთაგმა" კი მამამის როლფ კანს ათქმევინა: „ჩემს შვილს სჭირდება წარმატება, რათა იცოცხლოს. წარმატების გარეშე მოკვდება. თანაც იგი ბორის ბეკერივითაა, ხომ გახსოვთ, ბეკერის მეტოქეს სამი მატჩ-ბოლი ჰქონდა ხოლმე, მაგრამ ბოლოს მაინც ბორისი იგებდა. ჩემი შვილიც ეგრეა, რაიმე საქმე თუ დაიწყო, აუცილებლად ბოლომდე მიიყვანს. ბავშვობიდან ეგრეა. სათამაშოს რომ აწყობდა და თითქმის აშენებული ენგრეოდა, თავიდან იწყებდა და მიზანს მაინც აღწევდა. გინდათ გითხრათ მისი ახლანდელი მიზანი? ერთ კვირაში მსოფლიოს ჩემპიონი უნდა გავხდე — დარწმუნებული იყავით, გულში მხოლოდ ამას გაიძახის."

ამერიკელებთან გამარჯვებულ გერმანელებს ულსანში, სადაც მატჩი გაიმართა, სასტუმრო „ჰილტონის" მთელი პერსონალი ტაშით შეეგება და საგანგებო, უზარმაზარი ტორტითაც გაუმასპინძლდა. იქვე გერმანელებს მსოფლიოს თასიც გადასცეს, რომელიც სასტუმროს დირექტორმა მუყაოსგან დაამზადებინა. ფეხბურთელებს საჩუქარი ფიოლერმაც გაუკეთა, მეუღლეებსა და მეგობარ გოგონებთან ერთად განტვირთვისა და „გამოძინების" უფლება მისცა. ფიოლერი მარტო ამას არ დასჯერდა და ნაკრების გამკრიტიკებლებს გამოენთო, თვით ბეკენბაუერსაც არ მოერიდა და „კაიზერ ფრანცს" გადაჭარბებული შეფასებისგან თავის შეკავება სთხოვა. ფიოლერმა მკაცრად გააკრიტიკა თავისი მეგობარი, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი თომას ბერთოლდი და კორეული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა ბუმ კუნ ჩა. ბერთოლდმა თქვა, ნამეტანი ბევრს ვთამაშობთ თავითო, აზიელმა კიდევ, გერმანელებს საკმარისზე ბევრი ასპირინი აქვთ დალეული და მაგიტომაც ეძინებათ მოედანზეო. ფიოლერმა ორივეს ისეთი პასუხი გასცა, მეორე დღეს მობოდიშება მოუხდა.

დღევანდელი მატჩის წინ კი ფიოლერს ყველაზე მეტად მსაჯობა ადარდებს. კორეელებს ნახევარფინალამდე გაღწევაში მსაჯებმა რომ გვარიანი დახმარება გაუწიეს, ყველასთვის ნათელია. აქაურ გაზეთებში ექსპერტებად მიწვეული წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელები აღშფოთებას გამოთქვამენ მსაჯობის გამო და ერთხმად აღნიშნავენ ფიფას შეცდომას, ამდენი უცნობი და უვიცი მსაჯი სად იპოვესო. პოლ ბრაიტნერი კი ირონიით დასძენს, იმედია, კორეელებთან თანამსაჯად ვინმე გრენლანდიელს არ დაგვინიშნავენო.

ბოლოს კი გეტყვით, რომ გერმანული, განსაკუთრებით კი ბერლინური პოლიცია ფინალში გერმანია — ბრაზილიის დაპირისპირებაზე ოცნებობს, თუნდაც გერმანელები დამარცხდნენ. ამის მიზეზი გერმანიის დიდ ქალაქებში თურქთა სიმრავლეა. შაბათს, აქაური დროით 16 საათიდან ბერლინის ცენტრში გასეირნება მართლაც ერთ „სიამოვნებად" ღირდა, ცალკე თურქეთის დროშებით და ნაკრების მაისურებით ავტომანქანების ყველა ნაწილზე შემომსხდარი ათი ათასობით მყვირალი თურქი და ცალკე ცისფერთა და ლესბოსელთა აღლუმის თუ კარნავალის ცქერით თვალს წყალს ნამდვილად დაალევინებდით. ახლა აქაური თურქობა მხოლოდ ერთ რამეზე ოცნებობს, თურქეთ — გერმანიის ფინალზე. ოცნება თუ აუხდათ, მაშინ ბერლინს შედეგის მიუხედავად დიდი არეულობა ელის.



გათამამებულმა რუდი ფიოლერმა ძველ მეგობრებს შეუტია



ოლივერ კანი: თამაში მორჩა თუ არა, მინდორზე დავწექი, ზეცას შევყურებდი და ბედნიერი ვიყავი. ისეთი სიმსუბუქე არასოდეს მიგრძვნია

# ფინალში გასვლა საშიშია ჯანმრთელობისთვის

## მუქთა ხალვა და ხილის წვენი გულზე დაგადგება

**მეოთხედფინალში** გასვლით გამოწვეული სიხარული თურქებს ჯერ არ განელებოდათ, ახალი რომ ეწვიათ.

ქვეყნის არცთუ სახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე სენეგალთან გამარჯვებამ თურქებზე წამალივით იმოქმედა. ის კი არა, ეროვნული ვალუტის კურსმაც აიწია ამერიკულ დოლართან მიმართებაში. ყველაფერ ამას თურქეთის ნაკრების წარმატებას უკავშირებენ. „ეს პესიმიზმის დასასრულს ნიშნავს" — წერს ერთ-ერთი გაზეთი.

მილიონობით ადამიანი გამარჯვების აღსანიშნავად ქუჩებს შეესია. მანქანებს ალაბალა დააქროლებდნენ და მოძრაობის წესებსაც არად დაგიდევდნენ. ამას იარაღის ტრიალიც მოჰყვა. ისროდნენ უმისამართოდ. დედაქალაქში სროლის შედეგად სამი კაცი დაიჭრა. ერთს ხელის მტევანი გაუხვრიტა ტყვიამ, მეორეს — მხარი, მესამეს კი კისერი გაუკაწრა.

საკურორტო ქალაქ ანთალიაში დამსვენებელ თურქს ტყვია სახეში მოარტყეს და სასწაულებრივ გადარჩა. გაზიანთეფელ მოქალაქეს ხელ-ფეხი ერთდროულად დაუზიანეს.

ჯერჯერობით მსხვერპლი არ არის, მაგრამ სიხარულის აღნიშვნა ასე თუ გაგრძელდა, გამორიცხული არაფერია.

შედარებით მშვიდობიანად იქცევიან გერმანიაში მცხოვრები თურქები. ბერლინში გვიან ღამემდე დაჰქროდნენ მანქანებით და დროშებით. იქაურები ამით შემოიფარგლნენ.

შენოლ გიუნეში კი უკვე გმირია. ტრაბზონში, მხარის გუბერნატორმა ადილ იაზარმა ნაკრების ნახევარფინალში გასვლის მერე, გიუნეშს ძეგლი უნდა დავუდგაო, თქვა.

მწვრთნელი კარგ ხასიათზეა და საამისო მიზეზიც აქვს: „ჩვენ გავაკეთეთ ის, რაც უნდა გაგვეკეთებინა. უამრავი საგოლე მომენტი გაგვიცუდდა, მაგრამ ბოლოს გარჯა მაინც დაგვიფასდა. თურქეთის ნაკრები ღირსეული ნახევარფინალისტია, რადგან თამაშიდან თამაშამდე უმატებს."

გიუნეში უფრო შორს მიდის. აცხადებს, მესამე ან მეოთხე ადგილი არ მოგვიხდება, პირველობა მეტად დაგვამშვენებსო.

ხიდებს ხომ დაარქვეს ფეხბურთელთა სახელები, ახლა საცხოვრებელ სახლებზე გადავიდნენ. ქალაქ ადიამანის მერმა, აბდულქადირ კირმიზიმ თავის რაიონში 13 კორპუსის მშენებლობა დაასრულა. ეს ამბავი სენეგალთან გამარჯვებას დაემთხვა. ჰოდა, მერმაც დაიჩემა, შენობებს ფეხბურთელების და შენოლ გიუნეშის სახელი უნდა მივაკუთნოთო.

ამასობაში თურქი ფეხბურთელების მხარდასაჭერად მათი მეუღლეებიც აზიაში გაემგზავრნენ. გიუნეშის თანამეცხედრე, სემრა გიუნეში, იმედიანადაა: „ჩვენც მათთან ერთად უნდა გავიხაროთ და გვერდით დავუდგეთ, რათა მსოფლიოს თასი თურქეთში ჩავიტანოთ."

რუშთუ რეჭბერის ცოლი, იშილ ხანუმი, ქმარს საჩუქარს უმზადებს, თუმცა არ ამხელს რას. დანარჩენებსაც მოუწოდა, ხელცარიელები არ ჩამხვიდეთ, მე მომბაძეთო.

შესაძლოა, საჩუქარი ყველი იყოს, რადგან აზიაში თურქ ფეხბურთელებს 4 სახეობის ყველი წაუღიათ, სულ 1050 კილოგრამი და უკვე შემოეჭამათ. გარდა ამისა, იაპონია-კორეაში შეძენილი ტონა-ნახევარი ხორციც ზედ მიაყოლეს.

„ოქროს გოლის" ავტორის ილჰან მანსიზის მამამ, ირფან მანსიზმა, თქვა, ეს ბიჭი ამ გოლის გასატანად გაჩნდაო. ირფან მანსიზს ნათესავებთან ჩამოუვლია, იაპონიაში გეპატიჟებით ბრაზილია — თურქეთის სანახავადო.

შენოლ გიუნეშს აქამდეც ჩასჩიჩინებდნენ, ათამაშე ილჰანი, რას ჩააციები ჰაქან შუქურსო. იქაურ ჟურნალისტებს ესლა აკლდათ და ატეხეს ვაი-უშველებელი — რამდენი ხანია, ამას ვუკიჟინებდით და ახლა მაინც ხომ გამოჩნდა შავი და თეთრიო.

ილჰან მანსიზი გოლს ასე იხსენებს: „გამოზომილი პასი მივიღე და ზუსტად დავარტყი შორეულ კუთხეში. როგორც კი ბურთი ბადეში დავლანდე, ბუმბულივით დავმსუბუქდი. აქამდე ოთხჯერ შევედი შეცვლაზე და ერთხელაც ვერ გავიტანე, ახლა კი განსაკუთრებით ის მსიამოვნებს, „ოქროს გოლის" ავტორი რომ ვარ."

ამ გოლმა შეიძლება ძირითად შემადგენლობაში გამოუნახოს ადგილი, თუმცა მანსიზი ჰაქან შუქურზე ამბობს: „ის თურქული ფეხბურთის ლეგენდაა. ჰაქანი ლიდერია, როგორც მოედანზე, ისე მოედანს მიღმა. ცხადია, ძირითადში ყოფნა ყველას სურს, მაგრამ მწვრთნელის გადაწყვეტილება ჩემთვის კანონია."

მეოთხედფინალში გამარჯვება თურქეთის სამხედრო ავიაციამაც აღნიშნა. ქალაქ ბოდრუმში 7 თვითმფრინავი აიწია ჰაერში და დამსვენებლებს 25-წუთიანი სანახაობა გაუმართა.

მალათიაში კი ერთ-ერთი სუპერმარკეტის პატრონმა 5 ათასამდე კაცს უფასოდ ხალვა და ხილის წვენი დაურიგა. მაღაზიის მინას ეწერა: „სენეგალის ნაკრების ხალვა". მუქთამჭამელებიდან რამდენიმემ იკითხა, ბრაზილიის ხალვა როდის იქნებაო, რაზეც პატრონმა მიუგო, ძალიან მეეჭვება, რომ იყოსო.

თურქეთის ნაკრების პრემიამ კი უკვე 10 მილიონ დოლარს მიაღწია. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჰალუქ ულუსოიმ ბრძანა, ბიჭებისთვის ესეც ცოტაა, რომ შეგვეძლოს, მეტსაც იმსახურებენ. თუ ფინალში გავლენ, მთავრობაც დაგვეხმარება და პრემიებიც არნახული იქნებაო.

ჰალუქ ულუსოის მამა ბიზნესმენი ყოფილა და ნახევარფინალში გასვლისთვის თავის წილად პრემიისთვის 300 ათასი დოლარი გაუღია.

**ვაჟა ხუციშვილი**



მალე ფეხბურთელთა სახელებს, ალბათ, ლამპიონებსაც დაარქმევენ



# ფინალი კოლინას

**გუშინ** ფიფამ ოფიციალურად გამოაცხადა მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალებისა და ფინალის არბიტრთა ვინაობა. 30 ივნისს, იოკოჰამაში გადამწყვეტ მატჩს 42 წლის იტალიელი პიერლუიჯი კოლინა გაუძღვება, კაცი, რომელიც წლეულს იანვარში მეოთხედ დაასახელეს მსოფლიოს საუკეთესო მსაჯად. უთმაწარბო აპენინელმა ამ ტურნირზე ორი შეხვედრა უკვე იმსაჯა, ერთი ინგლისი — არგენტინა იყო, მეორე იაპონია — თურქეთი.

კორეა — გერმანიის ნახევარფინალს შვეიცარიელი ურს მაიერი განსჯის, ხოლო ბრაზილია — თურქეთისას დანიელი კიმ მილტონ ნილსენი.

საერთოდ, მასპინძლის თამაშზე მსაჯის დანიშვნა არცთუ იოლი საქმეა. მწვრთნელ-ფეხბურთელებმა ხომ არა ერთხელ დაიჩივლეს, [illegible] ლიასთან და ესპანეთთან კორეელებს მსაჯები აშკარად სწყალობდნენო. ახლა კი საინტერესო ვითარება შეიქმნა, გერმანელებს კორეასთან გერმანულენოვანი მსაჯი დაუნიშნეს, თუმცა ფიფას დიდმოხელეთა აზრით, პროფესიონალიზმი პროფესიონალიზმია და მაიერი ის მსაჯია, რომელიც ორივე მხარის მიმართ სამართლიანად გაირჯება. მისი თანაშემწეები ფრანგი ფრედერიკ არნო და ჩეხი ევჟენ ამლერი იქნებიან, ხოლო აზმაზ დანიელ ნილსენს პოლონელი მაცეი ვერჟბოვსკი და სლოვაკი იგორ სრამკა დაეხმარებიან. ეს ის სრამკაა, ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში პორტუგალიელი აბელ შავიერის ხელით თამაში რომ შენიშნა.

**სოლომონ გულისაშვილი**

# რონალდოს ბარძაყი

## ჩინებულ ჩემპიონატს ჩინებული დასასრული!

**რონალდო** ყველა ღონეს ხმარობს, რათა ოთხშაბათს თურქეთის ნაკრებთან თამაშისთვის, მარცხენა ბარძაყი აღარ ტკიოდეს. როგორც ირკვევა, დღეს, თანაგუნდელთა შორის ყველაზე დაღლილი სწორედ ის არის.

„ორი წელიწადია არ მითამაშია, მსოფლიოს ჩემპიონატზე კი, საკმაოდ მოკლე დროში ბევრ მატჩში მივიღე მონაწილეობა. ამიტომაც უფრო დავიღალე, ვიდრე სხვები, მაგრამ თავს მაინც კარგად ვგრძნობ. ვატყობ, ძალებს ვიდგენ. ორ დღეში გაცილებით უკეთ ვიქნები".

აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელმა საკუთარ მდგომარეობაზე საჯაროდ ილაპარაკა. კვირას, მაგალითად, ბრაზილიის ნაკრების ექიმი ჟოზე ლუიშ რუნკუ თურქების წინააღმდეგ რონალდოს თამაშს ვერავის ჰპირდებოდა.

მაგრამ, როგორც გაირკვა, ბოლო 48 საათში ჩატარებულმა ფიზიოთერაპიის და ანთების საწინააღმდეგო მედიკამენტურმა კურსმა ტკივილს უკან დაახევინა.

„ახლა იმედი მოგვეცა — თქვა რუნკუმ, თუმცა, თუ „ბაჭიამ" მაინც ვერ შეძლო თამაში, მის მაგივრად მოედანზე ლუიზაოს ვიხილავთ."

ერთი, რაც ცნობილია, ის გახლავთ, რომ თურქებთან რონალდინიო ვერ ითამაშებს. იგი, მოგეხსენებათ, ინგლისთან შეხვედრაში მოედნიდან გააძევეს. ამ გაძევებას რონალდომ გაზვიადებული სასჯელი უწოდა და იქვე დასძინა, რომ ვინც არ უნდა შეცვალოს რონალდინიო, კარგად ითამაშებს.

„რონალდინიოსთან ერთად ჩინებულად ვთამაშობდით, მაგრამ იგივე მოხდება ნებისმიერი სხვა ფეხბურთელის დროსაც".

და ბოლოს: „ჩინებული ჩემპიონატია. ბევრი სენსაციაა, უამრავი გოლი გადის და იმედი მაქვს, რომ დასასრულიც ღირსეული ექნება".

**ბაჩუნა ძიძია**



უცნაური ვარცხნილობა რონალდომაც გაიკეთა



ცინცხალი ბრაზილიური ამბავი: ვარჯიშისას მეკარე მარკოსი ისე დაშავდა, საკაცით გასაყვანი შეიქნა

# ინგლისი ბედნიერია

## ვინ მალავს ფეხბურთელებს?

ინგლისელ ქომაგებს გეგმა ჩაეფუშათ. ისინი თავიანთ, ბრაზილიასთან დამარცხებულ გმირებს, აეროპორტში დიდ დახვედრას უპირებდნენ, მიადგნენ კიდევ „ჰითროუს" კარიბჭეს წმინდა გიორგის თეთრ-წითელი დროშებით შეიარაღებულნი, მაგრამ აი, დაეშვა „ბოინგ 777" და მათთვის მოულოდნელი რამ მოხდა: დევიდ ბექემი, სვენ გორან ერიკსონი და კამპანია ტრაპიდან ჩამოვიდნენ, ფოტორეპორტიორებს უნდილად ერთი-ორი გაუღიმეს, საგანგებოდ მიყენებულ ავტობუსში ავიდნენ და იქაურობას გაცილდნენ.

„ხალხის სურვილი ხომ გულწრფელი და გასაგები იყო, — ამბობდა მერე ქომაგთა კლუბის პრესატაშე — ისინი მსოფლიოს ჩემპიონატზე თავიანთი ნაკრების შთამბეჭდავმა გამოსვლამ მოხიბლა და მათი დახვედრისას ერთი-ორ გაღიმებაზე მეტის მოლოდინი ჰქონდათ".

მეორე დღეს მთელი ინგლისური პრესა ნანახს აღწერდა.

„ნიუს ოფ ზი უორლდი": გმირები შინ არიან, მაგრამ სად იყო გმირთა საკადრისი დახვედრა? ფეხბურთის ასოციაცია შეცდა, როდესაც „ჰითროუს" აეროპორტში ჩვენი, ღამის თვითმფრინავიდან გადმოსული ბიჭები დამალა."

იქვე გაზეთმა დასძინა, რომ ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა, ტონი ბლერმა აუცილებლად უნდა გაუმართოს ღირსეული წვეულება ერიკსონსა და მის ფეხბურთელებს.

მაგრამ ფეხბურთის ასოციაციამ ბრალდება უარყო:

„სისულელეა. ფეხბურთელები გულშემატკივრებისთვის ჩვენ არ გაგვირიდებია. მოთამაშეებს ფანებთან შეხვედრამ გული გაუნათა. ისინი აღაფრთოვანა მათმა რაოდენობამ და ყველანი, მწვრთნელების ჩათვლით, შეჩერდნენ, რათა მათთვის ხელი დაექნიათ. რაც შეეხება ჩვენი ნაკრების მიღწევისადმი მიძღვნილ დიდ ღონისძიებას, ამაზე მზად ვართ ნებისმიერთან, ნებისმიერ წუთს ვილაპარაკოთ".

შეგახსენებთ, რომ ინგლისის ნაკრებამდე მსოფლიოს პირველობას ირლანდიელები დაემშვიდობნენ და დუბლინში, მათ შესახვედრად ასი ათასმა კაცმა მოიყარა თავი.

**ბაჩუნა ძიძია**




ბექჰემი და ერიკსონი ქომაგებს დაემალნენ

მსოფლიოს ჩემპიონატის დღიური 22, 23, 24 ივნისი

# უქმე დღის ჩანაწერები





თმის რომ ჭკუა ჰქონდეს, ბობი ჩარლტონი ფეხბურთელი ვერ იქნებოდა





რივალდომ სახელი ისე გაიტეხა, დიდი ტოსტაოს შეხედვისაც რცხვენია

როგორც იქნა, მსოფლიოს ჩემპიონატი მთავრდება.

როგორც იქნაო...

სამი მთავარი თამაში დარჩა და როგორც იქნაო.

დიახ, როგორც იქნა, იმიტომ, რომ ასეთი ნამდვილი როგორც იქნა, კარგა ხანია არ ყოფილა.

თქვენი არ ვიცი და მე ყოველთვის ჯგუფური ეტაპი მირჩევნია პლეიოფებს. რა თქმა უნდა, ეს ერთგვარად სულელური და ხელოვნური გაყოფაა, რადგან ჩემპიონატის ფორმულა ისეთია, რომ შეჯიბრი თითქოსდა სწორედ ჯგუფური ეტაპის შემდეგ იწყება, მაგრამ მაინც მგონია, რომ გულშემატკივრისთვის მთავარი თვალსასეირო და უფრო საფეხბურთო ამბები ჯგუფურ ეტაპზე ხდება.

ერთი, რომ ჯგუფური ეტაპი ნამდვილი საფეხბურთო ფესტივალია და ბევრი თამაში იმართება. მეორეც ის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს იმგვარი კალენდარი აქვს, მართლა ლომი უნდა იყო, ყველაფერს რომ გაუძლო და გადაიტანო. თანაც „ოქროს გოლის" გაუქმებაც ვერ მოესწრო. „ოქროს გოლი" კი სისულელეა. ფეხბურთი კვლავაც რჩება იმ გუნდურ თამაშად, სადაც საპლეიოფო საგზურის ბედი ერთადერთ თამაშში წყდება. ათასგვარი საბუთით გვარწმუნებენ, რომ სხვაგვარად შეუძლებელია.

ჩვენ კი გავიხსენოთ 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც პლეი ოფის ამბავი მინიმუმამდე დაიყვანეს და შედეგად რამდენიმე უკვდავი ლეგენდარული თამაში მივიღეთ. აი, საქმე: ოცი წლის წინანდელი ბრაზილია — იტალია, არგენტინა — იტალია, არგენტინა — ბრაზილია, თვით ფრთხილი და ურისკო ინგლისი — გერმანია, კიდევ სხვა მატჩებიც გახსოვს, გუშინწინდელი თამაშისას კი იმას თუ გაიხსენებ, რომ ჩათვლილი და არჩათვლილი გოლების გამო დავობენ.

საერთოდ, მთელს ამ მსოფლიო თასს მსაჯებზე ლაპარაკი გასდევს თან. ეს მთლად იმას არ ნიშნავს, რომ ფეხბურთი არ ვარგა და თანამდევ საკითხებზე ვმსჯელობთ, მაგრამ არც უამისობაა.

სინამდვილე კი ის უნდა იყოს, რომ ფეხბურთი ძალიან სწრაფი შეიქნა, მსაჯი კი მერსედესს ურმით მისდევს. რა თქმა უნდა, მსოფლიო შეთქმულება იმისთვის, რომ კორეის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდეს, არ არსებობს, მაგრამ ის, რომ მასპინძელთა სასარგებლოდ ბევრი რამ გადაწყდა, ნამდვილია. ეს მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიის თანამდევი ამბავია ჯერ კიდევ მუსოლინის დროიდან.

ისიც ნამდვილია, რომ ძლიერ მასპინძელს, თუკი დაეხმარებოდნენ, ეს უკანასკნელი მსოფლიოს ჩემპიონი ხდებოდა.

კორეა არ არის ისეთი ძლიერი მასპინძელი, რომ ჩემპიონად მოვნათლოთ, მაგრამ კორეა არც ისეთი მასპინძელია, იოლად რომ გაიარო, მსაჯთა დახმარებას არ ვგულისხმობ. ამგვარად მომზადებული კორეის ნაკრები ნებისმიერი ევროპული შესარჩევი ჯგუფიდან გავიდოდა მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე. ნახევარფინალის წინ, კორეელებს შიშიც გაჰქრობიათ. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობს მათი მწვრთნელი გუს ჰიდინკი, რომელსაც, იტალიელების და ესპანელების ბრძოლიდან გამოთიშვის შემდეგ ევროპული კომპლექსი მოუხსნია გუნდისთვის.

საერთოდ კი, დღევანდელ ფეხბურთში სხვანაირი გმირები არიან. დღეს ფეხბურთს მილიონერები თამაშობენ, ანდა, ის ბიჭები, რომლებიც მალე გახდებიან მილიონერები. ამაში ცუდი რა უნდა იყოს, მაგრამ ადრე თუ გმირები ბობი ჩარლტონი და სანდრო მაცოლა იყვნენ, ახლა გმირები დევიდ ბექემი და ფრანჩესკო ტოტი არიან. ჰოდა, შეადარეთ, ის პირველი ორი როგორ თამაშობდა ფეხბურთს და როგორი კაცი იყო და ეს ორნი როგორ თამაშობენ და როგორი ვინმეები გახლავან.

ძველმოდურობას დასცინიან ხოლმე მაგრამ არ მგონია, რომ კაცმა, რომლის თმაზეც არანაკლებს წერენ, ვიდრე თამაშზე, მეტი საფეხბურთო სული დაიტიოს, ვიდრე კაცმა, რომელიც მასზე უკეთაც თამაშობდა და ადრე გამელოტებულს თმა ერთი საფეთქლიდან მეორემდე გადაეფარებინა. ასევე არ მგონია, რომ ტოტიმ, რომელსაც არ დაესიზმრება ფულის ის რაოდენობა, რივალდოს რომ უდევს ბანკში, სულ სახეზე იფარებდა ხელებს და ბალახზე ტყუილად კოტრიალობდა. ეს ასე არ იყო. არც სანდრო მაცოლა, მინდვრის ლორდი იბლაკებოდა და კოტრიალობდა ტყუილად. ახლა კი ამბობენ, რომ რასაც ტოტი აკეთებს, ფეხბურთში შედის. ასე რომ მიჰყვე, ისიც უნდა თქვა, რომ მსაჯის შეცდომაც ფეხბურთში შედის და თუ ის არ მოგწონს, არც ეს უნდა მოგწონდეს.

რახან ჩემპიონატზე ოთხი გუნდიღა დარჩა და ისე გამოვიდა, რომ ვინც თავიდან მომწონდა, ან ვინც გზადაგზა მომეწონა, ისინი ძირითადად შინ გაემგზავრნენ, ორიოდ სიტყვას ამის გამოც დავწერ ამ დღიურში.

ჩვენ მიჩვეულები ვართ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიღაც გაიბრწყინებს და მერე დაიკარგება. მგონია, რომ ამ განწყობის მიუხედავად, არ დაიკარგება და სულ წინ ივლის ამერიკის ნაკრები. ამერიკელებმა არა მარტო ფეხბურთი ისწავლეს, არამედ, უკვე სისხლში აქვთ ეს თამაში და თამაშობენ ძალიან სიმპათიურად, პროგრესულად, სულ გოლზე ფიქრობენ. ყველა სიტუაციაში, იგებენ თუ აგებენ, თვალი მოწინააღმდეგის კარისკენ უჭირავთ. ეს ძალიან კარგია. მით უმეტეს მაშინ, როცა ეს ლაღად გამოგდის.

ჩემპიონატის მცირე ოქროს მედლები რომ არსებობდეს, რა თქმა უნდა, სენეგალის ნაკრებს უნდა გადაეცეს. აქაც არ უნდა იმოქმედოს იმ სტერეოტიპმა, რომ გვინახავს ასეთი კამერუნელები და ნიგერიელები. სენეგალი რომ იყო, ამგვარი გაქანებისა და უნარის აფრიკული გუნდი ჯერ მსოფლიოს ჩემპიონატებზე არ ყოფილა. სენეგალის ნაკრები აფრიკულად კი დაილალა, მაგრამ თავის საუკეთესო თამაშებში სუპერფეხბურთს უჩვენებდა. ასეთი ფეხბურთის თამაში რომ შეგიძლია, ამგვარ საფეხბურთო ინტელექტს რომ ფლობ, კარგის მეტს რას დაიმსახურებ.

თურქებმა საუკეთესოდ ითამაშეს სწორედ მოქანცულ სენეგალელთა წინაალმდეგ. ისინი, გერმანელების დარად თანდათან უმატებენ, თუმცა, მე თურქული ფეხბურთის ტრფიალი არ გახლავართ და თუკი ვინმეს ჩემპიონობას ვისურვებდი მეოთხედფინალის რვა გუნდიდან, ალბათ, მაინც ესპანელებისას. ესპანელთა გუნდი, რამდენიმე ნაკლის მიუხედავად, ულამაზესი იყო. ეს იყო ჩემპიონატის ყველაზე ხავერდოვანი გუნდი, რომელსაც პლეიოფში თამაში არ მოუგია და ორჯერვე პენალტებამდე მივიდა. აი, სწორედ ასეთ გუნდებს გვაკარგვინებს საპლეიოფო სისტემა. ძალიან ლამაზი ესპანეთიც შინ წავიდა.

ალბათ, თავი მაღლა უჭირავთ ჯოვანი ტრაპატონისა და სვენ გორან ერიკსონს. პირველი მსაჯებს აბრალებს ჩემპიონატიდან გავარდნას, მეორე ამბობს, არგენტინას ხომ მოვუგეო. არც ერთს და არც მეორეს საამაყო არაფერი აქვთ. ორივენი კედლებს აშენებდნენ თავიანთ კარებთან და სამხრეთელი ყვიროდა, ჩრდილოელი კი ჩუმად იყო. განსხვავებაც ამით ამოიწურება. საერთოდ კი, ჩემპიონატზე გამოჩნდნენ ვარსკვლავი მწვრთნელები, რომლებმაც რვეულები თავზე ახიეს მწვრთნელობის კლასიკოსებს, რომელთაგან ერთადერთი, ლუიშ ფელიპე სკოლარი თუ გამოდგა იღბლიანი.







## შენოლ გუნეში, ბრიუს არენა, ბრუნო მეტსუ: აი, ახალი ხალხი

აქ კი კვლავ ევროპის ჩაკეტილობას ვუბრუნდებით. თითქოს არაფერია ევროპულ ფეხბურთზე ღია. მთელი მსოფლიოს ფეხბურთელთათვის აქ კარი ღიაა, მაგრამ ევროპულ ფეხბურთს გაუჩნდა ერთი უცნაური თვისება — მთელს ამ ბებერ კონტინენტზე, გუნდიდან გუნდში ერთიდაიგივე მწვრთნელები მოძრაობენ. ამ მწვრთნელებს მსოფლიოს ყველაზე განთქმული და დიდი მწვრთნელები ჰქვიათ და მათ კასტაში შეღწევა წარმოუდგენელია. იერარქიაშიც კი ცვლილებები თითქმის გამორიცხულია. ვთქვათ, ერიკ გერეტსი ვერასოდეს გახდება „ბარსელონას" მწვრთნელი, თუმცა, „ბარსელონას" მასზე ბევრად უარესი მწვრთნელებიც ჰყოლია.

მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატი იძლევა იმის შანსს, რომ მივხვდეთ, რომ ჩაკეტილი წრის გარეთ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ბევრს და სწორად ფიქრობენ ფეხბურთზე. თანაც ისე, რომ ფეხბურთს არ უკარგავენ იმ პეწს, ჯერ კიდევ 80-იან წლებში რომ შემორჩენოდა ფეხბურთს.

როგორც იქნა...



სენეგალი აფრიკაში თავაწეული წავიდა

საგაზეთო ლოზუნგი
გახსოვდეს ძველი!

## ინტერტოტოს თასი

პირველი ეტაპი. პირველი მატჩი

### ლოკერენი 3:1 ვიტ ჯორჯია

1:0 ზუნდი (22), 1:1 დოლიძე (30პ), 2:1 გრეტარსონი (45პ), 3:1 კრისტინსონი (86)

| | |
|---|---|
| ლოკერენი: ვან დერ იუგტი, კატანა, გრეტარსონი, კრისტინსონი, დე ბოული, სოლი, სილა (ვან ჰოი 75), მუზინგა, კულიბალი, იბრაჰიმი, ზუნდი (კიმოტო 46) მწვრთნელი: პოლ პუტი | ვიტ ჯორჯია: მერლანი, კვახაძე, იმ. კირვალი, კობიაშვილი, ე. მერებაშვილი (ფეიქრიშვილი 34), დოლმელაშვილი, დ. დოლიძე ლ. ნოზაძე, ყოჟიანი (ბესიკ თედორაძე 63), გოჩაშვილი, ადამია (წეწხლაძე 84) სათადარიგონი: მამარდაშვილი, ლ. მერებაშვილი, იაშვილი მწვრთნელი: ჯანი კარნევალი |

მსაჯი: სინიშა ზრნიჩი (ბოსნია)

# ვეტერანები შესვენებამდე აცრეს



ამ წუთისთვის, ბოსნიელ არბიტრს „ვიტ ჯორჯიას“ კარში პენალტი დანიშნული აქვს

**უიღბლოდ დაიწყო** ტოტო-გათამაშება „ვიტ ჯორჯიასთვის“. იტალიელი კარნევალის გაწვრთნილი ქართველები შაბათს ბელგიურ „ლოკერენს“ დაეჩაგვრინნენ. უიღბლობა და უყურადღებობა ვეტერანებს მატჩამდეც დაჰყვათ. ძნელია, გადაჭრით იმის მტკიცება, რომ ლევან მელქაძე ბელგიურ მატჩში აუცილებლად გამოიჩენდა თავს, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ქართველი ფორვარდი დიდი ძალაა თბილისური კლუბისთვის და მისმა მოსაკლისებამ გარკვეული ტაქტიკური პრობლემები გაუჩინა ჯანი კარნევალის. მელქაძე მართლაც ქართველთა უყურადღებობით მოაკლდა „ლოკერენთან“ „ვიტ ჯორჯიას“ — სხვა სახელი არც მოეძებნება იმ ფაქტს, „საპასპორტო ჩავარდნისთვის“ რომ გამოისტუმრეს ბელგიის საზღვრიდან ფეხბურთელი.

წინასამატჩო უიღბლობა სანდრო იაშვილის ტრავმა გახლდათ. ამ ფეხბურთელმა ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე კოჭი დაიზიანა და კარნევალი ფაქტობრივად ცაიტნოტში დატოვა.

თავად მატჩზეც ვთქვათ, ბელგიელთა შეტევებით რომ დაიწყო. მასპინძელთა რიგებში ზუნდი და ისლანდიელი კრისტინსონი გამოირჩეოდნენ. ვეტერანებს განსაკუთრებით დიდ პრობლემას ზუნდი უქმნიდა. ამ ბიჭს დებიუტშივე შეეძლო თავისიანთა დაწინაურება, მაგრამ მე-6 წუთზე მუზინგას გამოზომილ პასს ზუსტი გაგრძელება ვერ მოუძებნა. ამგვარ დებიუტს მზად დახვდნენ ქართველები და მე-17 წუთზე კონტრშეტევისას ადამიას მიეცა ანგარიშის გახსნის კარგი შანსი, მაგრამ „ლოკერენი“ მეკარე ვან დერ იუგტმა იხსნა. საგოლედ შემართული მასპინძლების პირველი გოლი კი იმ. კირვალის შეცდომას მოჰყვა და სხარტმა ზუნდიმ შანსი არ დაუტოვა მერლანს. ქართველებმა პენალტით გაქვითეს — ბედად სოლი საჯარიმოში ჩაკიდებულ ბურთს ხელით შეეხო და დავით დოლიძემ თერთმეტი მეტრიდან სამეორეეტაპო პერსპექტივა დაანახვა თავისიანებს. ვინ იცის, ვეტერანები სასურველი ანგარიშითაც დაბრუნებულიყვნენ ბელგიიდან, ტაიმის ბოლომდე სასურველი ანგარიში რომ შეენარჩუნებინათ, მაგრამ სტუმართა დაცვა სილას პასმა გაჭრა და საჯარიმოში საგოლედ დარჩენილი ზუნდი წესის დარღვევით შეაჩერეს, პენალტი კრისტინსონმა უნაკლოდ შეასრულა და „ვიტ ჯორჯია“ გარკვეულწილად ფსიქოლოგიურად მოშლილი გავიდა შესვენებაზე.

საპირველტაიმო სცენარი მეორეშიც არ შეცვლილა — „ლოკერენი“ თამაშს აკონტროლებდა და მონდომებით უტევდა. ბელგიელებს დასამშვიდებლად მესამე გოლი სჭირდებოდათ და აიხდინეს კიდეც მიზანი — ვეტერანებმა მატჩის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე საკუთარ კარში მესამე გოლიც იხილეს — კრისტინსონმა შორეული დარტყმით დაამწუხრა კარნევალის ბიჭები. იმ წუთისთვის „ვიტ ჯორჯია“ კაცნაკლული უმკლავდებოდა მეტოქეს — ბოსნიელმა სინიშა ზრნიჩმა მეორე ყვითელით ფეიქრიშვილი დაითხოვა მოედნიდან.

მოკლედ, ბელგიური მატჩის შედეგი მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. მოულოდნელი უფრო ის იქნება, ქართველებმა საპასუხო მატჩში მეორე ეტაპის საგზური რომ მოიპოვონ, თუმცა 1:3 ის ანგარიშია, შინაურ კედლებში გარკვეულ იმედს რომ უტოვებს „ვეტერანებს“, მაგრამ „ლოკერენის“ მოსალენებლად მარტო იმედი რომ არ ეყოფა, ცხადზე ცხადია.

პირველი ეტაპის 20 მატჩიდან უმრავლესში ფავორიტებმა იმარჯვეს. გამორჩევით სასიკვდილოდ შვეიცარიელებმა დასისხლეს მეტოქეები. „სენტ გალენმა“ ხუთი გოლი აკმარა „ტოფტირს“. „ციურიხი“ კი შვიდ უპასუხო გოლს დასჯერდა „ბროტნიოსთან“ საშინაო მატჩში.

პოსტსაბჭოელთაგან ორბურთიანი სხვაობით მხოლოდ „ვიტ ჯორჯია“ და სომხური „შირაქი“ დამარცხდნენ. ესტონურმა „ლევადიამ“ მინიმალური სხვაობით წააგო სტუმრად ფავორიტ „ლეირიასთან“. საგარეო მატჩშივე ლატვიურმა „დინაბურგმა“ ფრეს გამოჰკრა ხელი ლუბინში „ზაგლებიესთან“. ლიტველებმა კი მართლაც იყოჩაღეს — „ჟალგირისმა“ სტუმრად „ჰონვედი“ გაავარა ბეჭებზე.

მოულოდნელი იყო „ბრნოს“ მარცხი ებრაულ „აშდოდთან“. ჩეხები შინ 0:5-ით შერცხვნენ. გაიმარჯვა ქართველთა ძველმა ნაცნობმა ბორისოვის ბატემ, ბელარუსებმა გაცილებით ძლიერ დანიურ „აკადემისკის“ სძლიეს.

ტოტო-გათამაშების პირველი ეტაპის საპასუხო მატჩები 29-30 ივნისს გაიმართება.

**ბაატა ძგანტალიანი**

ობილიჩი (იუგოსლავია) 1:2 ჰაკა (ფინეთი)
გლორია (რუმინეთი) 2:0 უნიონი (ლუქსემბურგი)
ჰელსინგბორგი (შვედეთი) 1:0 კოპერი (სლოვენია)
ზაგლებე (პოლონეთი) 1:1 დინაბურგი (ლატვია)
ბრნო (ჩეხეთი) 0:5 აშდოდი (ისრაელი)
კოლრეინი (ჩრდ. ირლანდია) 5:0 სენტ ჟულია (ანდორა)
კონსტრუქტორული (მოლდოვა) 0:0 სიგომა (ჩეხეთი)
ბატე (ბელარუსი) 1:0 აკადემისკი (დანია)
მარეკი (ბულგარეთი) 2:0 ძირსვისი (უელსი)
რიეკა (ხორვატია) 3:2 სენტ პატრიკზი (ირლანდია)
ციურიხი (შვეიცარია) 7:0 ბროტნიო (ბოსნია)
ტრენჩინი (სლოვაკეთი) 3:1 სლავენი (ხორვატია)
ჰონვედი (უნგრეთი) 0:1 ჟალგირისი (ლიტვა)
სენტ გალენი (შვეიცარია) 5:1 ტოფტირი (ფარერები)
პარალიმნი (კვიპროსი) 0:2 ბრეგენცი (ავსტრია)
ლეირია (პორტუგალია) 1:0 ლევადია (მაარდუ, ესტონეთი)
ლა ვალეტა (მალტა) 1:2 ტეუტა (ალბანეთი)
ცემენტარნიცა (მაკედონია) 1:3 ჰაფნარფიორდური (ისლანდია)
სანტა კლარა (პორტუგალია) 2:0 შირაქი (სომხეთი)

*საპასუხო მატჩები 29-30 ივნისს გაიმართება*

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანანია ფედიდას (მარცხნივ) „აშდოდმა“ მარეკ ზუბეკის „ბრნო“ წააბდინა

## ამხანაგური მატჩი

ახალგაზრდულები

### საქართველო 0:1 ირანი

თბილისი. ეროვნული. 1 000 (ტევადობა 70 900). 23 ივნისი. 19 საათი

0:1 მოჰიმეი (70)

| | |
|---|---|
| საქართველო: მამალაძე (ივარდავა 83), სვანაძე (ახალკაცი 52), ზაზაშვილი (ცინარიძე 78), ორბელაძე, უგრეხელიძე, ი. შენგელია (ზვ. ლაბაძე 59), სირაძე (კოშკაძე 28), დეკანოსიძე (ლ. სალუქვაძე 46), ასათიანი (სულაქველიძე 82), ახალაია (ჩილვინაძე 78), ხუროძე (სალარიშვილი 78) მწვრთნელი: ვახტანგ კოპალეიშვილი | ირანი: ატალი, მარდუნი (ბავეიფარდი 83), აქბარი (არზანსი 74), რეზაეი, მეირტორუფი, ჰამრანი, ნორი (ჯაბარი 69), ჰეიდარი (ამეინიფარი 83), ზუდმაჰმუდი (ზანგანეი 76), ჯამშიდიანი, აჰმადზადენი (მოჰიმეი 62) სათადარიგონი: ჰომამეი, ხოდაშირადეჰ, მეირტორაბი მწვრთნელი: დერაკ შანი |

გაფრთხილება: ორბელაძე (39), ასათიანი (64), ლაბაძე (67), აქბარი (71)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ზ. მენთეშაშვილი, ო. ხეცაძე (ყველა საქართველო)

მატჩის დელეგატი: ა. მილჩენკო

ჯარიმა: 14-28; კუთხური: 7-4; კარისკენ დარტყმა: 5-10; კარში დარტყმა: 1-4; თამაშგარე: 4-3

**საქართველოს** ოლიმპიურმა ნაკრებმა „ეროვნულზე“ ირანელ თანატოლებთან უსახელოდ წააგო. კოპალეიშვილის გუნდმა ითამაშა უხალისოდ, უსისტემოდ და უთავმოყვარეოდ. სტადიონზე მოსული ქომაგი, რომელსაც 90 წუთის მანძილზე ოხვრის, გინების, მხესუმხირის ქნატუნისა და სიგარეტის მოწევის გარდა არაფერი უკეთებია, ალრეწილი მიდიოდა შინ. ანაც სად იყო გულშემატკივარი, „ეროვნულზე“ ხომ პოლიციელი მეტი იყო, ვიდრე მაყურებელი.

...ბურთი გაგორდა თუ არა, მატჩის არბიტრმა ლევან ფანიაშვილმა თამაში გააჩერა. ირანში მიწისძვრისგან დაღუპულებს წუთიერი დუმილით მივაგეთ პატივი „ეროვნულზე“ შეკრებილებმა. იმ მომენტში სტუმრები შეცბუნებულები ჩანდნენ და თავისებურ თანადგომას ითხოვდნენ ქართველებისგან. ირანელმა სათადარიგოებმა მეტოქე სამარქაფოებისკენ გადადგეს ნაბიჯი, სათითაოდ ჩამოუარეს და მიესალმნენ. მალე თამაშიც დაიწყო და მოედანზე დიდად საინტერესოც არაფერი მომხდარა.

# ესენია კოპალეას ნაქები ბიჭები?

თავიდანვე ცხადი იყო, ქართველები გოლს ვერ გაიტანდნენ. გუშინ პირველად არ წაუგია საქართველოს ახალგაზრდულ გუნდს, რომელსაც ოლიმპიურიც ჰქვია. ეს, ალბათ, არც უკანასკნელი იქნება, მაგრამ არა მგონია, ნაკრებს მსგავსი უილაჯობა ვინმემ აპატიოს.

მე არ ვაპირებ, გუშინდელ დამარცხებაში მწვრთნელ-ფეხბურთელები გავამტყუნო, მაგრამ მათ გასაკიცხადაც მომიწევს ორიოდ სიტყვის თქმა. ნაკრებში გამოძახებულ მოთამაშეს, არა აქვს მნიშვნელობა უვარჯიშებელი ხარ თუ ძალაგამოლეული, მოედანზე ხელების შლისა და ტლინკების ყრის გარდა კიდევ რამე უნდა შეგეძლოს.

გუშინ ჩვენ რამდენიმე დებიუტანტი ვიხილეთ საქმეში, მაგრამ ჯობდა, სულ არ გვენახა, ანაც მათი დებიუტი სხვა დროს შემდგარიყო. დანარჩენები კი ძალიან კარგად ნაცნობი ფეხბურთელები იყვნენ, ვისი შესაძლებლობებიც ნაკრების მწვრთნელებმა წესისა და რიგის მიხედვით კარგად უნდა უწყოდნენ. ქომაგის თვალწინ კი ერთი და იგივე შემადგენლობა ტრიალებს და თითქმის ყოველთვის რჩება ერთი, არცთუ სასიამოვნო შეკითხვა — ყველა ღირსეული თამაშობს ნაკრებში?

ახლა კი გუშინდელი უსახელო დამარცხების მთავარ დამნაშავეს მივადგეთ და ის ვიკითხოთ, რა სიკეთე მოუტანა ირანის ოლიმპიურ გუნდთან გაჯიბრებამ საქართველოს?

ნაკრების წევრთა უმრავლესობას თვეზე მეტია, ბურთი არ გაუგორებია. ისინი კუთვნილ შვებულებაში იყვნენ და მოედანს ნაკრების მწვრთნელთა მოთხოვნით დაუბრუნდნენ. ნაწილს ერთი კვირა იქნება, სააზალსეზონოდ მზადება დაუწყია და თამაში კი არა, გადამეტებული დატვირთვებისგან ფეხებს ძლივს დაათრევდნენ.

ჰოდა, კანონზომიერიც იყო, ირანელთა კართან ორი საგოლე და, რა თქმა უნდა, გაცუდებული მომენტის გარდა ვერაფერი სახეირო რომ ვერ გაახერხეს ჩვენებურებმა.

სტუმრებს კი თამაში ნამდვილად წაადგებოდათ. ისინი ერთკვირიან შეკრებაზე იმყოფებიან საქართველოში, სადაც ორ საკონტროლო მატჩსაც ატარებენ. ირანელ მწვრთნელებს, დარწმუნებული ვარ, ნაჩქარევად არ შეუკრებიათ შეგირდები. ისინი მიზანმიმართულად ემზადებიან ახალი შესარჩევი ეტაპისთვის. თამაშობენ როგორ იციან, მათ შექმნეს რამდენიმე საგოლე მომენტი, რომელთაგან ერთი გოლადაც აქცია მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა მოჰიმეიმ. სტუმართა შეტევა ერთი შეხედვით რთული სულაც არ იყო. ქართველებმა მოედნის შუაგულში დაკარგეს ბურთი, მოწინააღმდეგის ფლანგური გარღვევა კი საჯარიმოში ჩაწოდებით და ირანელის ზუსტი თავურით დასრულდა. ჩვენებურებს თითქოს სურვილი კი ჰქონდათ მეტოქისთვის ხელი შეეშალათ, მაგრამ...

ყველაზე საინტერესო მთელ თამაშში დასავლეთ ტრიბუნის ერთ პატარა ნაწილში ხდებოდა. სამთავრობო ლოჟის მარჯვენა კუთხეში ათიოდე ირანელი გოგობიჭი შეკრებილიყო და შეუსვენებლივ სიმღერა-შეძახილებით ამხნევებდნენ სტუმრებს. ისინი არ იღლებოდნენ და ნერვებიც კი აუტოკეს რამდენიმე შემთვრალ ახალგაზრდა მაყურებელს.

„ირანი საქართველოს ისტორიული მტერია, მიდით დაცხეთ“ — ბავშვების პროვოცირებას ცდილობდა ერთი ჭკუაგამოლეული. ქართველი მოზარდების თავმოყვარეობაზე ნაკრების უნიათო თამაშმა და პატარა ირანელი „ფანების“ მოუსვენრობამ ერთდროულად იმოქმედა, მაგრამ სტუმრებისთვის ცუდი არაფერი უკადრებიათ. ახლოს მიუჩოჩდნენ და მათი ხმები თავიანთი ომახიანი შეძახილებით დაახშეს. მერე სულაც აღმოსავლეთ ტრიბუნაზე გადაინაცვლეს და იქიდან ცდილობდნენ ჩაძინებული ნაკრების გამოღვიძებას, მაგრამ ამაოდ.

...ძილი ვარდია, ამბობენ ირანელები, ვარდი, რომელიც არაფერში არგია ქართულ ფეხბურთს.

**გამუკა ძგანტალიანი**

# ჟორდანიას პეტრიაშვილი და ჩხაიძე დაუმტკიცეს

## ალმასკომმა ჭყონიას ჩაილურის წყალი დაალევინა, გამყრელიძე კი მარჯვნივ გაუშვა

**გუშინდელს აქეთ** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე მერაბ ჟორდანიას ორი ოფიციალური კონკურენტი ჰყავს. 24 ივნისს ფედერაციის ალმასკომმა დავით პეტრიაშვილი და ვაჟა ჩხაიძე რეგისტრაციაში გაატარა. ასე რომ, აგვისტოში გასამართ ყრილობაზე ქართულ ფეხბურთს სამიდან ერთ-ერთს თავკაცად დაუმტკიცებენ.

გუშინდელ ალმასკომზე ემოციები სჭარბობდა. მართალია, დავა-კამათისას ეთიკის ნორმები არავის დაურღვევია, მაგრამ დაძაბულობა დარბაზში ბოლომდე არ ჩამცხრალა.

„მე ვთხოვ ალმასკომს, სამივე კანდიდატს მწვანე შუქი აუნოთს და გარკვეულ მცირე დარღვევებს ყურადღება არ მიაქციოს" — მერაბ ჟორდანიას ეს მოთხოვნა საბოლოოდ დაამტკიცა კიდეც ქართული ფეხბურთის უმაღლესმა ორგანომ, თუმცა ალმასკომის ამ გადაწყვეტილებას პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის, ვაჟა ჩხაიძის (...)კმაოდ ემოციური გამოსვლაც უძღოდა წინ.

ჩხაიძემ შეკრებილ ალმასკომს არალეგიტიმური უწოდა, მერე იურიდიული ტერმინებიც დაიხმარა და უკანონობას არ დავუშვებო, ხმამაღალი განცხადებით დაასრულა თავისი გამოსვლა. ჩხაიძეს რომ სასამართლოში სარჩელი შეუტანია, გუშინ ბევრმა პირველად შეიტყო. საფეხბურთო კლუბ „მრეტების" პრეზიდენტი ზოგიერთი გადაწყვეტილების მართებულობას ეჭვის თვალით შესცქერის. ისიც კი განაცხადა, ალმასკომის დღევანდელი გადაწყვეტილება ვერაფრით იქნება კანონიერიო. ბოლოს ფედერაციის პრეზიდენტობის (...)სურველმა ქართველობა, ღვინო-შამპანური ახსენა და სიტყვა მეორე კანდიდატ დავით პეტრიაშვილს დაუთმო.

პეტრიაშვილმა მოკლედ, ემოციების გარეშე ილაპარაკა და საკუთარ თავში დარწმუნებული კანდიდატის შთაბეჭდილება დატოვა. ვაჟა ჩხაიძეს ბევრ რამეში დაეთანხმა, იურიდიულ დარღვევებზე მანაც გაამახვილა ყურადღება და რადგან უფლებამოსილი პრეტენდენტი იყო, დარბაზში მყოფებს თავაზიანად დაგვემშვიდობა. იგივე გააკეთა ჩხაიძემაც, ოღონდ სხდომის დატოვებამდე ჟურნალისტებს დაგვიბარა, იმედია, ყველაფერი ობიექტურად გაშუქდებაო.

გუშინდელ ალმასკომს ბევრისთვის მოულოდნელად მისი ყოფილი წევრებიც ესწრებოდნენ. უფრო მართალი იქნება თუ ვიტყვით, რომ „კოკა-კოლას" პრეზიდენტი თემურ ჭყონია, ახალი მემარჯვენეების ლიდერი დავით გამყრელიძე და მწერალი დავით ტურაშვილი სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ოციოდ წუთს იმყოფებოდნენ.

ყოფილი წევრებიო ვთქვით. სამივე ზემოთ ხსენებული პიროვნება ბოლოს ორი წლის წინ ესწრებოდა ალმასკომის სხდომას. ამათგან მხოლოდ დავით ტურაშვილი წავიდა თავისი ნებით ალმასკომიდან, იგი არ დაეთანხმა მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებას და წასვლის თაობაზე განცხადებაც საჯაროდ გააკეთა. თემურ ჭყონიას და დავით გამყრელიძეს, როგორც თავად განაცხადეს, არც კი სცოდნიათ, ალმასკომის წევრები რომ არ არიან. ჩვენ არავის გავუფრთხილებივართ, ხოლო დღეს იმიტომ მოვედით, რომ ფედერაციიდან შეგვეხმიანნენ და ალმასკომზე მოგვიპატიჟესო. იგივე გაიმეორა დავით ტურაშვილმაც, მე ალმასკომიდან ჩემი ნებით წავედი, მაგრამ დამირეკეს და მთხოვეს, მოვსულიყავიო.

ფედერაციამ, ასეთი სატელეფონო ზარები ჩვენგან არ ყოფილაო. კიდევ ცოტა ხანს იდავეს გაუგებრობაში მოხვედრილმა მხარეებმა და მშვიდობიანად დასცილდნენ ერთმანეთს, თუ ამას მშვიდობა შეიძლება ეწოდოს. ფედერაციის განცხადებით, მათ გააჩნდათ ინფორმაცია, რომ წელიწადის ყველაზე მნიშვნელოვან ალმასკომზე ყოფილი წევრები გამოჩნდებოდნენ, მაგრამ ბოლომდე მაინც არ გვჯეროდაო. ისე ერთიცაა, თუ ალმასკომი თავის წევრებთან ურთიერთობას წყვეტს, მაშინ როგორმე უნდა აცნობონ ამის შესახებ დათხოვნილებს. ჭყონიასა და გამყრელიძის თქმით, ფედერაციიდან მათ მსგავსი საბუთი ან წერილობითი შეტყობინება არ მიუღიათ.

სხვა პოზიცია დააფიქსირა მერაბ ჟორდანიამ. თემურ ჭყონიამ და დავით გამყრელიძემ კარგად იცოდნენ, ალმასკომის წევრები რომ არ არიან. ისინი აქამდე ჩატარებული 17 შეკრებიდან მხოლოდ სამს დაესწრნენ და კანონის თანახმად ალმასკომიდან ამიტომაც გათავისუფლდნენო. ფედერაციის პრეზიდენტმა თავისი შეცდომაც აღიარა, მე მხოლოდ სიტყვას ვენდე, ოფიციალური საბუთი ყოფილი ალმასკომელებისთვის არ გვიახლებიაო. საკითხავი და გასარკვევი კი ისღა დარჩა,


მერაბ ჟორდანია


დავით პეტრიაშვილი


თემურ ჭყონია


ვაჟა ჩხაიძე

ვინ შეიყვანა შეცდომაში ჭყონია, გამყრელიძე და ტურაშვილი. ვისი სატელეფონო ზარის შემდეგ მოხვდნენ ისინი დეპარტამენტის სააქტო დარბაზში. ორივე მხარემ სერიოზულად განაცხადა სიმართლეს გავარკვევთო და, ალბათ, ჩვენც გაგვაგებინებენ.

ის იყო, ალმასკომი მორიგი საკითხის განსახილველად ემზადებოდა, რომ დარბაზში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს დადგენილება შემოიტანეს. თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ავთანდილ კოკაიას, „დინამო თბილისისა" და ზესტაფონის „მეტალურგის" დირექტორებს (დადგენილებაში დირექტორების ვინაობა არ იყო მითითებული) სასამართლოსთვის მიუმართავთ, ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომში გარდამავალი დროისთვის ახალ წევრებად ვლადიმერ გოგიაშვილი, ნიკოლოზ კობალავა და გიორგი ჯაოშვილი მიიღონო.

მე არ ვიცი, ვისი იდეა იყო საფეხბურთო საქმის სასამართლოში გადატანა, ანაც ალმასკომის წევრის არჩევას სასამართლოსთან საერთოდ რა კავშირი აქვს, როცა ყოველივე მხოლოდ ყრილობის პრეროგატივაა, მაგრამ იდეის ავტორს რომ შეცდომა მოსვლია, ფაქტია. მოსამართლე დოჯაშვილმა განცხადება არ განიხილა, ხოლო ფედერაციას ხელში კოზირები მიეცა. გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას განცხადებით, აღნიშნული საკითხი ფიფას და უეფას ხელმძღვანელებს აუცილებლად დღე დღეზე ეცოდინებათ. ზეგ შვეიცარიაში მივემგზავრები, ბატონ ბლატერს წერილობით ვაცნობებ ყოველივეს, ხოლო უეფას გენერალურ მდივან გერჰარდ აიგნერს თავად მოვახსენებ საქმის არსსო — დაასრულა ნათქვამი ჩოლარიამ.

კიდევ ერთი სადავო და საჭოჭმანო საკითხი ბავშვთა ფეხბურთიდან საყრილობოდ არჩეული დელეგატების მანდატების გაუქმება აღმოჩნდა. ალმასკომში აღმოჩნდნენ წევრები, რომლებიც ამ წინადადებას არ ეთანხმებოდნენ. მართალია, გარკვეულ დარღვევებთან გვაქვს საქმე, მაგრამ ის სამი ხმა არც ერთი კანდიდატისთვის არ უნდა იყოს გადამწყვეტი და ბავშვთა კონფერენციის გადაწყვეტილება ძალაში დარჩესო. „მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ის სამი ხმა ყრილობაზე ჩემს საწინააღმდეგოდ იქნება გამოყენებული, სამივე დელეგატსაც დიდ პატივს ვცემ, მაგრამ კანონი დარღვეულია და მანდატების გაუქმებას ვითხოვ" — მერაბ ჟორდანიას პოზიციას ალმასკომელთა უმრავლესობა დაეთანხმა. ვერ დავიჩემებ, რომ ეს პრობლემის სწორი გადაწყვეტაა. უფრო მეტი, მგონია, კიდევ უფრო დაიძაბება ისედაც ჩახლართული ვითარება, მაგრამ ფაქტი ესაა, 24 აგვისტოს ბავშვთა ფეხბურთს გადამწყვეტი ხმის უფლებით დელეგატი არ ეყოლება. წამყვანი საფეხბურთო სკოლების წარმომადგენლები მხოლოდ სათათბირო ხმებით იქნებიან ყრილობაზე. ასე ინება ალმასკომმა.

გუშინ ფეხბურთის ფედერაციის ახალი ლოგო არ დამტკიცდა. ვერც მეთოთხმეტე ჩემპიონატის კალენდარმა იხილა დღის სინათლე. მართალია, ახალი ლოგოს რამდენიმე ვარიანტი შესთავაზა ფედერაციამ ალმასკომს, მაგრამ მისმა წევრებმა ლოგოს კიდევ უფრო დახვეწას დაუჭირეს მხარი. რაც შეეხება მეთოთხმეტე ჩემპიონატის კალენდარს, ის ფაქტობრივად მზად არის, უბრალოდ, ორიოდ თარიღია დასაზუსტებელი ნაკრების მწვრთნელებთან და ევროტურნირებში მონაწილე გუნდების თავკაცებთან.

ბოლოს კი ორი „დინამო" „დაეტაკა" ერთმანეთს ალმასკომზე. ეს გაწელილი დავა, ეტყობა, კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ორივე მხარეს თავისი არგუმენტები გააჩნია და პროფესიონალი იურისტის გარდა, ალბათ, ბევრიც ვერაფერს გაარკვევს ამ დავაში. ფაქტი კი ერთია, საქართველოს ათგზის ჩემპიონი, შვიდჯერ თასის მფლობელი, სუპერთასის მომგები თბილისის „დინამო" მოულოდნელად ავანსცენიდან გაქრა და ეროვნულ ჩემპიონატში სადღეისოდ ფინანსურად წელმაგარი „დინამო თბილისი" თამაშობს.

ფედერაციამ გუშინდელ ალმასკომზე თავისი პოზიცია დააფიქსირა — ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელები არ აპირებენ ორი „დინამოს" ქონებრივ დავაში ჩარევას, მაგრამ მერაბ ჟორდანიას განცხადებით, არც ძველი „დინამო" უნდა დაიკარგოს.

ალმასკომის გადაწყვეტილებით კი, ორივე მხარე ვალდებულია, ერთმანეთს შეხვდეს და მოილაპარაკონ. ეს დავა საქართველოს ფარგლებს არ უნდა გასცდეს. არადა, თუ კომპრომისი არ გამოინახა, თბილისის „დინამოს" თავკაცები (გიგანის მხარე) დავის ფიფაში გადატანას დააპირებს და...

დღეიდან ოდნავ ჩაწყნარდება საარჩევნო აყალმაყალი. მერე ახალი ძალით იფეთქებს ახალი ინტრიგები, დაპირისპირებები დაიხლართება და ყრილობაზე ის 61 დელეგატი აირჩევს ქართული ფეხბურთის თავკაცს, რომლებიც გუშინდელ სხდომაზე ალმასკომმა საბოლოოდ დაამტკიცა.

**ზამუკა ძვანტალიანი**


ვალერი აბრამიძე „ტორპედოდან" წავიდა

# ზდრასტი, სევასტი

## შტელინს თოდუა დაუბრუნდა, აბრამიძე კი გაექცა

**როგორც იცით,** წინა პარასკევს გამართულმა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდების წილისყრამ ქუთაისის „ტორპედოს" პირველ მეტოქედ ფარერის კუნძულების „B 36 ტორსჰავნი" არგუნა. ცნობილია ისიც, რომ ქუთაისელებ კუნძულელებს 17 და 24 ივლისს შეხვდებიან, ჯერ შინ, შემდეგ სტუმრად.

ერთი კვირაა, რაც ტორპედოელები ბაკურიანში გადიან შეკრებას, გუნდის თავკაცს ალექსანდრ შტელინს ამ ეტაპზე ყურადღება შეგირდთა ფიზიკურ მომზადებაზე აქვს გამახვილებული, თუმცა შაბათს გუნდი საწვრთნელ თამაშშიც გამოსცადა, „ტორპედო" თბილისში ჩაიყვანა და „ლოკომოტივის" ფარმკლუბს გააჯიბრა. უკრაინელმა მწვრთნელმა ყველა ფეხბურთელს მისცა თამაშის საშუალება. „ტორპედომ" მეტოქეს 2:0 აჯობა, ორივე გოლი რკინიგზელთა კარში ზვიად ქუთათელაძემ გაიტანა. ამის შემდეგ შტელინმა ბიჭები ერთი დღით დაასვენა, გუშინ დილიდან კი წვრთნა გაანახლა. „ტორპედო" რომ ბაკურიანში სრული შემადგენლობით არ ვარჯიშობს, ადრეც გაუწყეთ — სევასტი თოდუა, ვალერი აბრამიძე და ანდრეი პოროშინი არ ჩანდნენ ქუთაისელთა ბანაკში. ამ სამეულიდან მხოლოდ თოდუა შეუერთდა გუნდს. პოროშინზე ამბობენ, უკრაინიდან ჩამოსვლას ვერ ახერხებსო, აბრამიძის საქმე კი უფრო რთულადაა. ბოლო სეზონში ქუთაისელთა გამორჩეულ მოთამაშეს „ტორპედოდან" წასვლა გადაუწყვეტია და ამის შესახებ ოფიციალურადაც განუცხადებია. აბრამიძე ახალი გუნდის ვინაობას არ ამხელს. საინტერესო კია, საით მიუწევს გული.

ასეა თუ ისე, „ტორპედოს" პოროშინ-აბრამიძის გარეშე უწევს წვრთნა და გუშინ ბაკურიანში მოვარჯიშეებს ერთიც შეემატა. შტელინმა მერანელ სოსო დევიძეს უხმო გასინჯვაზე. გეხსომებათ, აჭ(...) ჭალური გუნდის კაპიტნით „ტორპედო" ჯერ კიდევ ზამთარში დაინტერესდა, ოღონდ მაშინ ტრანსფერი არ შედგა. ვნახოთ, ეგებ მეორე ცდიდან მოხერხდეს დევიძის გატორპედოელება. შტელინი, ცხადია, მას ვარჯიშებზეც დააკვირდება და 29 ივნისს საკონტროლო მატჩშიც შეამოწმებს. „ტორპედო" ამ დღისთვის „კოლხეთს" შეუთანხმდა სათამაშოდ და ქუთაისში უმასპინძლებს ფოთელებს.

**იუზა ქაციტაძე**

# სულორი 11 მეტრს ვერ გადაახტა

**როგორც იქნა,** დასრულდა მე-13 ეროვნული ჩემპიონატი. ნუ გაიკვირვებთ, რეგიონულ ლიგაზე ვამბობთ. ხაშურის „იველია" და ვანის „სულორი" პირველი ლიგის საგზურისთვის ეცილებოდნენ ერთმანეთს. ხაშურელებმა აღმოსავლეთ ზონაში დაკავებული მეორე ადგილის წყალობით მოიპოვეს პლეი ოფის საგზური, აი, „სულორმა" კი სულაც მეორე პლეი ოფი ითამაშა. საქმე ისაა, რომ დასავლეთ ზონაში ოზურგეთის „მერცხალმა" და „სულორმა" თანაბარი ქულები დააგროვეს, დამატებითი მატჩი ფოთის „ფაზისზე" ჩატარდა, „მერცხალმა" მეტოქე პენალტებით დაამარცხა და „ივერიასთანაც" „სულორი" გაუშვა.

23 ივნისს ქობულეთში შეხვდნენ ერთმანეთს „ივერია" და „სულორი". დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა. ერთმანეთს არაფერი დაუთმეს მეტოქეებმა და საბოლოოდ 120-წუთის შემდეგ 0:0 დაფიქსირდა. ნათქვამია, პენალტები ლატარიააო. ვანელებს ზედიზედ მეორედ არ გაუმართლა იღბალმა, ამერლებმა 5:3 მოუგეს იმერლებს.

ერთი სიტყვით, მეთოთხმეტე ეროვნულისთვის რეგიონული ლიგიდან პირველ ლიგაში აღმოსავლელი „მცხეთა", დასავლელი „მერცხალი" და ხაშურის „ივერია" აღზევდნენ.

**გიორგი გუგავაძე**

# სარბიელი და კროკო
# წარმოგიდგენთ

| | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|
| მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ძირითადი დრო | | | | | | |
| 25 ივნისი | | | | | | |
| 16.30 161 გერმანია-კორეა | 1,95 | 3,0 | 3,8 | 1,15 | 1,25 | 1,65 |
| 26 ივნისი | | | | | | |
| 16.30 162 ბრაზილია-თურქეთი | 1,4 | 3,6 | 7,5 | 1 | 1,15 | 2,4 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 25 ივნისი | | | | | | | | | |
| 16.30 1161 გერმანია-კორეა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,2 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 26 ივნისი | | | | | | | | | |
| 16.30 1162 ბრაზილია-თურქეთი | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 4,7 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |

## მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში

# კროკო

ყოველდღიურად (ორშაბათის ჩათვლით) იმუშავებს

**სამუშაო საათები $9^{00}$ — $19^{00}$**

მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი რეპორტაჟების (ერთდროულად დანიშნული შეხვედრების შემთხვევაში, ორივე მატჩის პარალელურად) ნახვა და მოგებული თანხის თამაშის დამთავრებისთანავე მიღება შეგეძლებათ

## ნებისმიერ ბიუროში

### I ტაიმის შედეგი

25 ივნისი
16.30 1061 გერმანია-კორეა 2,4 2,1 4,0
26 ივნისი
16.30 1062 ბრაზილია-თურქეთი 1,65 2,4 7,0

### რამდენი გოლი გავა მატჩში (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

25 ივნისი
16.30 2061 გერმანია-კორეა ---------- 1,6 ---------- 1,8
26 ივნისი
16.30 2062 ბრაზილია-თურქეთი ---------- 1,8 ---------- 1,6

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს

---------- კი ---------- არა
25 ივნისი
16.30 2161 გერმანია-კორეა ---------- 1,75 ---------- 1,75
26 ივნისი
16.30 2162 ბრაზილია-თურქეთი ---------- 1,7 ---------- 1,8

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (ძირითადი დრო)

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

25 ივნისი
16.30 2261 გერმანია-კორეა ---------- 1,7 ---------- 2,2
26 ივნისი
16.30 2262 ბრაზილია-თურქეთი ---------- 1,3 ---------- 3,5

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | 25 ივნისი | | | |
| 16.30 | 2961 | გერმანია-კორეა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 26 ივნისი | | | |
| 16.30 | 2962 | ბრაზილია-თურქეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

25 ივნისი
16.30 3961 გერმანია-კორეა ---------- 1,4 ---------- 2,4
26 ივნისი
16.30 3962 ბრაზილია-თურქეთი ---------- 1,1 ---------- 5,0

### ჩემპიონი

25 ივნისი 16.30
3651 ბრაზილია ---------- 1,55
3655 გერმანია ---------- 3,0
3661 თურქეთი ---------- 11,0
3662 კორეა ---------- 7,5

სარბიელი
**სპორტული ლატარია**
CROCO
BOOKMAKERS
**კროკო**

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, ? კორპუსი | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| | მშვიდობის გამზირი №11 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| ზუგდიდი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |

დსთ-ს, ბალტიისპირეთის და რუსეთის რეგიონების ჭაბუკთა სპორტულ თამაშები. მოსკოვი

# ქართველები მოსკოვიდან სკანდალით დაბრუნდნენ

**სკანდალით** დაასრულეს ჩვენმა კალათბურთელებმა მოსკოვური თამაშები. მეორე ეტაპის ბოლო მატჩში ქართველები სანქტპეტერბურგელებს ხვდებოდნენ და ფინალისტი მათ შორის უნდა გარკვეულიყო. მატჩის დასრულებამდე 30 წამით ადრე, როცა ნევისპირელები 67:66 იგებდნენ, ჩვენები შეტევაში დაჯარიმდნენ, რაც მსაჯების არაობიექტურობად მიიჩნიეს და პროტესტის ნიშნად მოედანი დატოვეს. მსაჯთა კოლეგიამ თამაზ ოქრუაშვილისა და დავით უსტიაშვილის შეგირდებს 0:20 წაგება ჩაუთვალა. ფინალში სანქტ პეტერბურგის გუნდი გავიდა.

მომხდარზე გუშინ თბილისს დაბრუნებული ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი დავით უსტიაშვილი გვიამბობს:

„საერთოდ, წაგების მსაჯებზე გადაბრალება სწორი არაა, მაგრამ მოსკოვში მომხდარმა ზღვარს გადააჭარბა. ამისთვის თავიდანვე მზად ვიყავით და ბიჭებიც გაფრთხილებულნი იყვნენ, ნერვები მოეთოკათ, მსაჯებს არ აჰყოლოდნენ. მათ ბოლომდე ითმინეს, მაგრამ რად გინდა.. ასეთი არაობიექტური მსაჯობა არასდროს მინახავს და, ვფიქრობ, კარგი გავაკეთეთ, სანქტპეტერბურგელებთან მატჩი რომ არ ჩავამთავრეთ...

თამაში ახალი დაწყებული იყო, როცა ჩვენს რამდენიმე კალათბურთელს უკვე სამი პერსონალური ჰქონდა. იძულებულნი ვიყავით, ძირითადი ბირთვი მოედნიდან ხშირ-ხშირად გაგვეყვანა. რუსები დაწინაურდნენ და როცა მატჩის ბოლოს წინ გავედით, მსაჯებმაც ამ დროს „იყოჩაღეს". დამთავრებამდე 30 წამით ადრე ქულას ვაგებდით, როცა მანუჩარ მარკოიშვილი ფარქვეშ შეიჭრა. მას აშკარად ხელში ჩაარტყეს და ბურთი გააგდებინეს. მოთმინებას ფიალაც აქ აგვევსო და ბიჭები მოედნიდან გამოვიყვანეთ, თამაშზე უარი ვთქვით. ამის გამო ტურნირიდან უნდა მოვეხსენით, მაგრამ რუსები, ეტყობა, მიხვდნენ დანაშაულს და საქმე აღარ გაამწვავეს. მსაჯების რუსებისადმი მიკერძოება იქიდანაც ჩანს, რომ ერთბაშად ხუთ მოთამაშეს დაატოვებინეს მოედანი, წინა მატჩებში კი ერთი მოთამაშეც არ დაგვიკარგავს. ბოლოს სანქტპეტერბურგელები მოვიდნენ და მოგვიბოდიშეს, ჩვენ რა გვექნა, მსაჯები უსტვენდნენო...

არა უშავს, ჩემპიონები რომ ვერ გავხდით, მთავარი ისაა, რომ ყველამ კარგად დაინახა ჩვენი ძალა. რუსებს არ უნდოდათ, ფინალში გავსულიყავით, რადგან იქ მოსკოვის გუნდი გველოდებოდა და წაგება მათთვის მძიმე დარტყმა იქნებოდა. ამიტომაც ნახევარფინალშივე მოგვიშორეს.

საუკეთესო მოთამაშის პრიზიც რუსს მისცეს. არადა, მანუჩარ მარკოიშვილი ყველას ათი თავით სჯობდა და ხალხის თვალის ასახვევად მას საუკეთესო ბომბარდირის პრიზი მისცეს, თუმც ყველაზე მეტი ქულა არ ჩაუგდია."

ქართველთა აპელაცია არც მერე განიხილეს და ჩვენებს მესამე ადგილისთვის მოუწიათ ბრძოლა. იქ კი მათი უპირატესობა აშკარა იყო, ბელარუსის ნაკრებს 97:60 მოუგეს, რითაც ქართულ მონაგარს ერთი ბრინჯაო შეემატა.

ბრინჯაოს დასჯერდნენ ფეხბურთელებიც. ნახევარფინალში მოსკოვის ნაკრებთან 0:2 წაგების შემდეგ ჩვენებურებმა ლიტვას 1:0 მოუგეს და მესამე ადგილი დაიკავეს. გოლი გიორგი ფიფიამ გაიტანა.

ხელბურთელებმა ჯგუფური ეტაპის შემდეგ სანახევარფინალო საგზური ვერ მოიპოვეს: პლეი ოფში ხელმოცარულებმა მე-7 ადგილებისთვის ბრძოლა რუსეთის ცენტრალურ ოლქთან 29:30 წააგეს და მერვე ადგილს დასჯერდნენ.

რაც შეეხება ინდივიდუალურ სახეობებს, აქ იყოჩაღა ნანა ძაგნიძემ, ვინც 14-წლამდელთა საჭადრაკო 8-ტურიანი შეჯიბრი მოიგო.

მთლიანობაში ქართველებმა 5 ოქრო 4 ვერცხლი და ამდენივე ბრინჯაო მოიპოვეს და გუნდურ ჩათვლაში ტურნირი მე-10 ადგილზე დაასრულეს. მედალთა მეტი წილი სამბისტებზე მოდის. მათ 2 ოქრო, 3 ვერცხლი და 1 ბრინჯაო ჩამოიტანეს.

**ირაკლი ბერტაია**



მანუჩარ მარკოიშვილი რუსებმა ჯერ დაჩაგრეს, მერე დაამშვიდეს

| გუნდები | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ |
|---|---|---|---|---|
| მოსკოვი | 39 | 35 | 22 | 96 |
| უკრაინა | 21 | 24 | 27 | 72 |
| რუსეთის სამხ. ოლქი | 21 | 14 | 15 | 50 |
| ვოლგისპირეთი | 14 | 15 | 15 | 44 |
| ბელარუსი | 14 | 6 | 14 | 34 |
| ციმბირი | 13 | 12 | 13 | 38 |
| რუსეთის ცენტრ. ოლქი | 12 | 16 | 22 | 50 |
| სანქტ პეტერბურგი | 10 | 13 | 15 | 38 |
| ურალი | 7 | 10 | 17 | 34 |
| საქართველო | 5 | 4 | 4 | 13 |
| რუსეთის შორ. აღმ. ოლქი | 4 | 2 | 0 | 6 |
| ყაზახეთი | 3 | 5 | 5 | 13 |
| აზერბაიჯანი | 2 | 1 | 4 | 7 |
| ესტონეთი | 2 | 2 | 2 | 6 |
| ყირგიზეთი | 2 | 0 | 3 | 5 |
| ლიტვა | 2 | 0 | 3 | 5 |
| ლატვია | 1 | 6 | 2 | 9 |
| უზბეკეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| მოლდოვა | 0 | 2 | 2 | 4 |
| რუსეთის ჩრდ. დას. ოლქი | 0 | 3 | 3 | 6 |




იყიდება სასწრაფოდ

შიშკინის ფერწერული ტილოების ასლები, მხატვარი ნ. ა. ლვოვი

ტელ: 60-56-53





მარიონ ჯონსმა ჯერ სამშობლოში იპირველა, წინ ევროპაა...

# მარიონ ჯონსმა ქალებს გული გაუხეთქა

**დედამიწის** უსწრაფესი ქალები შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს ამ უქმეებზე კალიფორნიულ ქალაქ პალო ალტოში ჩატარებულ ამერიკის შეერთებული შტატების სამძლეოსნო ჩემპიონატს. პლანეტის ყოველი კუთხე-კუნჭულის უყოჩაღეს ქალ სპრინტერთა შეშფოთების მიზეზი ამერიკელი ჩქაროსანი მარიონ ჯონსი გახლავთ, რომელსაც მცირეხნიანი ჩავარდნის შემდეგ ფორმა დაუბრუნებია და შიდასაქვეყნო პირველობაზე ენერგიამოზღვავებულს თავისი კონკა სხეული ყველაზე ადრე მიურბენინებია ფინიშთან ჯერ ას მეტრზე, შემდეგ კი, ჩემპიონატის მესამე და უკანასკნელ დღეს, კვირას, ორას მეტრ დისტანციაზეც.

კვირას მარიონმა ორასმეტრიანი მანძილი მდევართა შორის უახლოესზე, კელი ვაიტზე, 0,15 წამით ადრე, 22,35 წამში დაფარა და მიყოლებით მეხუთედ აჯობა თანამემამულეებს ამ დისციპლინაში. ჯამში კი ჯონსმა ბოლო ექვს წელიწადში მე-13 მშობლიური ოქრო დაიკიდა შველივით ყელზე.

სიდნეის ოლიმპიადიდან სამი ოქროს წამომღებ ჯონსს ნაჩქარსირბილევს ნაზი ღიმილით უთქვამს ჟურნალისტთათვის, 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაწვნევი მარცხი აღარც მახსოვს, საკუთარი თავის რწმენა დავიბრუნე და საერთოდ, თავს შესანიშნავად ვგრძნობო, რასაც დაუმშვიდებია მისი ურიცხვი მოთაყვანე და აუღელვებია მეტოქე სპრინტერები.

ჯონსს ისიც დაუყოლებია, ევროპაში აუცილებლად ვირბენო. პირმშვენიერი მარიონისთვის ბებერკონტინენტური სეზონი ამ პარასკევს, ოქროს ლიგის შეჯიბრში ასმეტრიანი გარბენით იწყება. აი, იქ გამოჩნდება, რამდენად მხნედ გრძნობს თავს ამერიკის სიამაყე და მსოფლიოს მძლეოსნობის უთვალსაჩინოესი და უმშვენიერესი ქალბატონი. მკოდნე ხალხი ფიქრობს, რომ მარიონს ჯერაც წინა აქვს მოკლე-მოკლე სწრაფრბენებით გასავლელი გრძელი და ბრწყინვალე კარიერა.

ახალგაზრდა და ლამაზი მარიონ ჯონსის გამოსვლამ, ცხადია, ყველა სხვა მორბენალი თუ მსროლელი მძლეოსანი დაჩრდილა ამა წლის შიდასაამერიკო ჩემპიონატზე, თუმც თავისი წილი აპლოდისმენტები და ყურადღება სხვა მედალოსნებმაც ირგეს. მათგან ჯონსის საპირისპიროდ მხცოვანი გეილ დივერსი ვახსენოთ. 35 წლის მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა დივერსმა წინაღობებით გაწყობილი ასი მეტრი 12,51 წამში გაირბინა და ფინიშთან წამის მეათედით მიასწრო მეიშა მაკკელვის. „35 წლისა თავს საუკეთესო ფორმაში ვგრძნობ. არასდროს ვყოფილვარ ასეთი ძლიერი და ასე კარგად მომზადებული" — თქვა დივერსმა. ჯონსის მსგავსად, მის 35 წლის სხეულსაც სულ მალე ევროპაში ელის გამოცდა.

**ირაკლი ფირუზაშვილი**

რაგბი

ევროპის რეგიონთა თასი 22 ივნისი. პორტუ

# ლოკომოტივი ევროლიანდაგიდან გადავიდა

**პორტუგალიის ჩრდილოეთი 25**

**თბილისის რეგიონი 17**

ამ უქმეებზე საქართველოს ჩემპიონი, თბილისის „ლოკომოტივი" თბილისის რეგიონის სახელით ევროპის რეგიონთა თასის გათამაშებაში მეორე წრიდან ჩაება და მოულოდნელი მარცხით ტურნირსაც გამოეთიშა.

ქართველთა მეტოქე პორტუგალიის ჩრდილოეთ რეგიონის ნაკრები იყო, რომელიც „პორტუს" და „აკადემიკას" მორაგბეებითაა დაკომპლექტებული. თუ პორტუგალიური საკლუბო რაგბის დონეს გავითვალისწინებთ, ჩვენებურებს ევროპის კიდეზე დიდი ვერაფერი გუნდი ელოდა, მაგრამ ლათინოევროპელთა ბარიერი საქართველოს საუკეთესო კლუბისთვის გადაულახავი გამოდგა. არადა, ტურნირის წინ „ლოკომოტივი" საკმაოდ გაძლიერდა, როცა რამდენიმე ბორჯღლოსანი დაიმატა და გუნდში ექსკრასნოიარსკელი არჩილ კობახიძეც დაბრუნდა.

ასეთი კაზუსი თბილისელ რკინიგზელებს ერთი თვის წინათაც შეემთხვათ, როცა საქართველოს თასის გათამაშებაში ჭაბუკებით დაკომპლექტებულ მეორელიგელ „ორბელი-ლელოსთან" სენსაციურად წააგეს.

რეგიონთა თასს ერთი ქართული გუნდი მაინც ეყოლება. აჭარის სახელით შეჯიბრში ბათუმის „დათვებიც" ითამაშებენ. ზღვისპირელებს 22 ივნისს უნდა დაეწყოთ ტურნირი, მაგრამ სავიზო პრობლემები შეექმნათ და დანიაში ვერ გაემგზავრნენ. მატჩი გადაიდო და ახლა გაირკვა, რომ აჭარის ნაკრები დანიის აღმოსავლეთ რეგიონს კოპენჰაგენში 24 აგვისტოს დაუპირისპირდება.

**ბაჩო სვანიძე**

ფორმულა 1. მსოფლიოს ჩემპიონატი. მეცხრე ეტაპი

# ჰიმნი რუბენსისთვის

## ბარიკელო აღარ გაწირეს



REUTERS ნიურბურგრინგიდან

რუბენს ბარიკელომ ათწლიან კარიერაში მეორედ გაიმარჯვა

**ოკეანისგაღმა** ერთეტაპიანი სტუმრობის შემდეგ მეფორმულეები ევროპაში დაბრუნდნენ და ბებერი კონტინენტის დიდი პრიზი გაითამაშეს. ამით სამეფო რბოლების 53-ე სეზონმა თავისი ეკვატორი გადალახა და უკვე საფინიშო დასკვნების გამოტანაც შეიძლება, თუმცა ამაზე მოგვიანებით...

„ევროპა" არც ისე ხნოვანი შეჯიბრებაა. მართალია, ოციოდე წლის წინ ჩაეყარა საფუძველი, მაგრამ დღემდე მხოლოდ 12-ჯერ ჩატარდა: ჯერ იყო ინგლისი (ბრენდს ჰეჩი და დონინგტონი), მერე ესპანეთი (ხერესი), ბოლო წლებში კი გერმანიაში, ლეგენდარულ „ნიურბურგრინგზე" დამკვიდრდა, რომელიც 75-წლიან ისტორიას ითვლის.

დასავლეთ გერმანიაში, შავი მთის ძირში გაყვანილი 23-კილომეტრიანი ტრასა მცირედ ჩამორჩებოდა ფორმულაში უგრძეს იტალიურ „პესკარას", სადაც პილოტებს მხოლოდ ერთხელ (1957) მოუწიათ გაჯირითება. ამსიგრძე ტრეკის შენახვა-მომსახურება და მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა მეტად ძნელი საქმე იყო. თანაც მაყურებლებისთვის რბოლის ცქერა ნაკლებად საინტერესო, რადგან წრიდან წრემდე დიდხანს უწევდათ პილოტების სანახავად ლოდინი. 70-იანი წლების ბოლოს ძირეული რეკონსტრუქციის შედეგად უსაშველოდ გრძელი წრე თითქმის ხუთმაგად დამოკლდა და ნაკლებად ფათერაკიანიც გახდა. მაგრამ ისევ და ისევ მონაწილეთა უსაფრთხოების მიზნით, აგრეთვე მაყურებელთა დაინტერესების გათვალისწინებით, წლეულს მორიგი ცვლილება განიცადა — სტარტის შემდგომ უბანზე, სადაც ხშირი იყო ავარიები, გაჩნდა ახალი ხუთმოსახვევიანი სექცია „მერსედეს-არენა". შედეგად ტრასა 590 მეტრით დაგრძელდა და ამიერიდან პილოტები მთელ ამ დამატებულ მანძილს უშუალოდ ტრიბუნების თვალწინ დაძლევენ. ცხადია, ყველაზე მეტ მოულოდნელობას სწორედ ამ განახლებულ ნაწილში ელოდნენ, ასეც მოხდა: შეხლა-შემოხლა და გზიდან გასრიალება საკმაოზე მეტი იყო. თუმცა, საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა.

დაგრძელებულ-გართულებული წრის გავლას ახლა თითქმის 15 წამით მეტი დრო სჭირდება. ამდენად, ხუან პაბლო მონტოიას შარშანდელი მიღწევა, ეტყობა, სამუდამო რეკორდად დარჩება. სიტყვამ მოიტანა და კოლუმბიელი „ახალ ისტორიაშიც" პირველი შევიდა — შაბათს საპოულე ბრძოლისას 5,146-კილომეტრიანი წრე 1 წუთში, 29,906 წამში 206 კმ/სთ საშუალო სიჩქარით გაიქროლა და პირველი სასტარტო პოზიციაც დაიბევა. რალფ შუმახერი თანაგუნდელს უმცირესით — ცხრა მეათასედი წამით ჩამორჩა, მეორე რიგში ფერარელები — მიხაელ შუმახერი და რუბენს ბარიკელო დადგნენ, მათ უკან კი ასევე დუეტად — დევიდ კულჰარდისა და კიმი რაიკონენის „მაკლარენები". ამდენად, თავიდანვე წყვილ-წყვილად მდგომ სეზონის მთავარ მოქმედ პირთა შორის საინტერესო ბრძოლა იყო მოსალოდნელი.

საერთოდ, სარბოლო სტრატეგია მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. თითქმის თანაბარძალოვან-სიჩქარიან ბოლიდების ჭიდილში წარმატების მისაღწევად პრაქტიკულად ერთი გზაა — სტარტზე უკან მდგომები მეტი პიტსტოპის ტაქტიკას ირჩევენ და ნაკლებ საწვავიანი, მსუბუქი მანქანებით იწყებენ ბრძოლას, რათა უფრო სწრაფად მანევრირების საშუალება ჰქონდეთ. ეს ხერხი იმ შემთხვევაში ამართლებს, თუ არც მანქანა უღალატებს პილოტს და არც ეს უკანასკნელი დაუშვებს უმცირეს შეცდომასაც კი.

„ნიურბურგრინგზე" ბარიკელომ ყველაფერი უნაკლოდ შეასრულა და მთელი საათნახევრიანი რბოლა დიდოსტატურად წარმართა, განსაკუთრებით დასაწყისი.

ნიშნისთანავე მონტოიამ რალფისკენ გაიწია და წინ ჩაუდგა, რამაც ცხადია, თავადვე ტემპი დააკარგვინა. სიჩქარეაკრეფილმა შუმახერმა კი, შეჯახება რომ აეცილებინა, გვერდზე გაიწია და პირველივე მოსახვევში შეძლო თანაგუნდელის გასწრება. უფრო მეტი მოახერხა რუბენსმა — ჯერ იმავე მოსახვევში მიხაელი ჩამოიტოვა უკან, იქვე მას ხუანიც მიაყოლა, ხოლო ათიოდ წამში რალფსაც გაუსწორდა და ქარავანს სათავეში მოექცა.

ვალში არც ჩემპიონი დარჩენილა — აშკარად „მძიმე" მონტოიას დიდოსტატურად გაუსწრო, მესამე წრის ბოლოს კი ერთ-ერთ გრძელ სწორზე ბევრად მაღალი სიჩქარის ხარჯზე უმცროსი ძმაც ჩამოიცილა გზიდან.

„წითლების" ასეთი დაფეთება ცხადია, მეტპიტსტოპიანი გეგმის ნაწილი იყო და „სკუდერიას" თავიდანვე მოუტანა სასურველი შედეგი. იმავე, ცინცხალ მოსახვევში პირველი შეჯახებაც მოხდა — ორი „ჯორდანი", სხვა რომ ვერავინ ნახეს, ერთმანეთს ეძგერა და ბოქსებში შესაკეთებლები შეიქნა. ორივემ კი განაგრძო ასპარეზობა, მაგრამ მცირე ხნით — 29 წლის ჯანკარლო ფიზიკელამ, რომლისთვისაც ეს საიუბილეო, მეასე რბოლა იყო, 27-ე წრეზე წინააღმდეგობა შეწყვიტა.

დასაწყისში იმდენი გასწრება და შეხლა-შემოხლა მოხდა, რამდენიმე ეტაპს ეყოფოდა. მაგრამ სასტარტო ციებ-ცხელების შემდეგ ხუთიოდ წუთში რბოლამ „მოიწყინა" და უინტერესო გახდა, რადგან წინ გაქუსლული „ფერარები" ყოველ წრეზე ზრდიდნენ თავიანთ უპირატესობას და დისტანციის მესამედის გავლის შემდეგ ნახევარი წუთით ჩამოიტოვეს უახლოესი მდევრები — რალფ შუმახერი და მონტოია.

სანახევროდ მიძინებული ტრიბუნები ორჯერ გამოცოცხლდა: 23-ე წრეზე მიხაელს მოსახვევში საჭე გაექცა და გზიდან გადავიდა. ბედად, დამცავი ზონა ასფალტისა აღმოჩნდა, ასე რომ, „ფერარის" არაფერი დაზიანებია და არც საბოქსე გამხდარა, თუმცა ოთხგზის ჩემპიონის ამ შეცდომის შემდეგ ლიდერ თანაგუნდელ ბარიკელოსთან მისი ჩამორჩენა ერთიდან ათ წამამდე გაიზარდა.

მეორე ინციდენტი კი იმავე პირველ მოსახვევში მოხდა — მონტოიას ბორდიურზე შემხტარმა „უილიამსმა" კუდი მოიქნია და კულჰარდის „მაკს" ეძგერა, შედეგად ორივესთვის ბრძოლა ვადამდე დასრულდა.

რუბენსს და მიხაელს დროის ისეთი მარაგი ჰქონდათ დაგროვილი, კონკურენტებზე ერთით მეტმა პიტსტოპმაც მათ ვერაფერი ავნო. ფინიშამდე ათიოდე წრით ადრე მიხაელი, რომ იტყვიან, გასწრების ზონამდე წამოეწია თანაგუნდელს და თვენახევრის წინანდელი, სამარცხვინო ავსტრიული ფინიშის მსგავსად, ყველა ელოდა, რომ „ფერარის" შტაბი მორიგი დათმობის ბრძანებას გასცემდა და რუბენსს კიდევ ერთხელ მიწასთან გაასწორებდნენ. მაგრამ ამჯერად „სკუდერია" მორიგ საქვეყნო სკანდალს მოერიდა და დამსახურებული გამარჯვებაც ბარიკელოს ერგო. 30 წლის კაცმა ბავშვივით გაიხარა, პოდიუმზე აცრემლდა კიდეც და ათწლიან კარიერაში მეორე დიდი პრიზი ჯერ ფეხაუდგმელ თავის ვაჟიშვილს მიუძღვნა თანამემამულე ფეხბურთელებისგან გადმოღებული ტრადიციული ჟესტით.

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ „ეკვატორულ" შედეგებს, მიხაელმა და „ფერარიმ" სეზონის ფინიშამდე რვა რბოლით ადრე პრაქტიკულად უკვე გაინაღდეს პილოტ-გუნდური, ანუ აბსოლუტური ჩემპიონობა. შუმახერი თავისივე სარეკორდო შარშანდელ გრაფიკსაც კი ბევრით უსწრებს, ხოლო უახლოეს მდევარ-ძმასთან არანორმალურ, 46-ქულიან უპირატესობაზე ლაპარაკი უხერხულია — მსგავსი სხვაობა დღემდე არასდროს ყოფილა.

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

**ევროპის დიდი პრიზი**
23 ივნისი. ნიურბურგი
დისტანცია 60 წრე — 308,760 კმ

| | |
|---|---|
| 1. ბარიკელო (ფერარი) | 1:35.07,426 (194,741 კმ/სთ) |
| 2. მ. შუმახერი (ფერარი) | ჩამორჩა 0,294 |
| 3. რაიკონენი (მაკლარენი) | 46,435 |
| 4. რ. შუმახერი (უილიამსი) | 1:06,963 |
| 5. ბატონი (რენო) | 1:16,943 |
| 6. მასა (ზაუბერი) | 1 წრით |
| 7. ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 1 წრით |
| 8. ტრული (რენო) | 1 წრით |
| 9. პანი (BAR) | 1 წრით |
| 10. დე ლა როსა (იაგუარი) | 1 წრით |
| 11. ბერნოლდი (ეროუსი) | 1 წრით |
| 12. ვილნევი (BAR) | 1 წრით |
| 13. ფრენცენი (ეროუსი) | 1 წრით |
| 14. მაკნიში (ტოიოტა) | 1 წრით |
| 15. ვებერი (მინარდი) | 2 წრით |
| 16. სატო (ჯორდანი) | 2 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| სალო (ტოიოტა) | გაიარა 51 წრე |
| იონგი (მინარდი) | 48 |
| ირვინი (იაგუარი) | 41 |
| მონტოია (უილიამსი) | 27 |
| კულჰარდი (მაკლარენი) | 27 |
| ფიზიკელა (ჯორდანი) | 26 |

**საუკეთესო წრე**

მ. შუმახერი 1:32.226 (200,871 კმ/სთ)

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 3 მარტი | მალაიზია 17 მარტი | ბრაზილია 31 მარტი | სან მარინო 14 აპრილი | ესპანეთი 28 აპრილი | ავსტრია 12 მაისი | მონაკო 26 მაისი | კანადა 9 ივნისი | ევროპა 23 ივნისი | დ.ბრიტანეთი 7 ივლისი | საფრანგეთი 21 ივლისი | გერმანია 28 ივლისი | უნგრეთი 18 აგვისტო | ბელგია 1 სექტემბ. | იტალია 15 სექტემბ. | აშშ 29 სექტემბ. | იაპონია 13 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ. შუმახერი (ფერარი, გერმანია) | 10 | 4 | 10 | 10 | 10 | 10 | 6 | 10 | 6 | | | | | | | | | 76 |
| 2 რ. შუმახერი (უილიამსი, გერმანია) | – | 10 | 6 | 4 | – | 3 | 4 | – | 3 | | | | | | | | | 30 |
| 3 მონტოია (უილიამსი, კოლუმბია) | 6 | 6 | 2 | 3 | 6 | 4 | – | – | – | | | | | | | | | 27 |
| 4 ბარიკელო (ფერარი, ბრაზილია) | – | – | – | 6 | – | 6 | – | 4 | 10 | | | | | | | | | 26 |
| 5 კულჰარდი (მაკლარენი, დ. ბრიტანეთი) | – | – | 4 | 1 | 4 | 1 | 10 | 6 | – | | | | | | | | | 26 |
| 6 რაიკონენი (მაკლარენი, ფინეთი) | 4 | – | – | – | – | – | – | 3 | 4 | | | | | | | | | 11 |
| 7 ბატონი (რენო, დ. ბრიტანეთი) | – | 3 | 3 | 2 | – | – | – | – | 2 | | | | | | | | | 10 |
| 8 ფიზიკელა (ჯორდანი, იტალია) | – | – | – | – | – | 2 | 2 | 2 | – | | | | | | | | | 6 |
| 9 ჰაიდფელდი (ზაუბერი, გერმანია) | – | 2 | – | – | 3 | – | – | – | – | | | | | | | | | 5 |
| 10 ტრული (რენო, იტალია) | – | – | – | – | – | – | 3 | 1 | – | | | | | | | | | 4 |

მასა (ზაუბერი) — 4, ირვინი (იაგუარი) — 3, ვებერი (მინარდი), სალო (ტოიოტა), ფრენცენი (ეროუსი) — 2 ქულა

| | ავსტრალია 3 მარტი | მალაიზია 17 მარტი | ბრაზილია 31 მარტი | სან მარინო 14 აპრილი | ესპანეთი 28 აპრილი | ავსტრია 12 მაისი | მონაკო 26 მაისი | კანადა 9 ივნისი | ევროპა 23 ივნისი | დ.ბრიტანეთი 7 ივლისი | საფრანგეთი 21 ივლისი | გერმანია 28 ივლისი | უნგრეთი 18 აგვისტო | ბელგია 1 სექტემბ. | იტალია 15 სექტემბ. | აშშ 29 სექტემბ. | იაპონია 13 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ფერარი | 10 | 4 | 10 | 16 | 10 | 16 | 6 | 14 | 16 | | | | | | | | | 102 |
| 2 უილიამსი | 6 | 16 | 8 | 7 | 6 | 7 | 4 | – | 3 | | | | | | | | | 57 |
| 3 მაკლარენი | 4 | – | 4 | 1 | 4 | 1 | 10 | 9 | 4 | | | | | | | | | 37 |
| 4 რენო | – | 3 | 3 | 2 | – | – | 3 | 1 | 2 | | | | | | | | | 14 |
| 5 ზაუბერი | – | 3 | – | – | 5 | – | – | – | 1 | | | | | | | | | 9 |

ჯორდანი — 6; იაგუარი — 3; მინარდი — 2; ტოიოტა — 2; ეროუსი — 2 ქულა

## უიმბლდონი 2002

*ჯერ კიდევ 4 დღის წინ ინგლისს უიმბლდონისთვის ნამდვილად არ სცხელოდა, მაგრამ დევიდ სიმენის ერთი შეცდომა და უკვე პარასკევს შუადღით მანამდე ლამის ყოველ მეორე მანქანასა და ფანჯარაზე გამოფენილ ეროვნულ დროშებს ველარსად ნახავდით, ლუდხანებში ადგილისთვის ხელჩართული ბრძოლის საჭიროება გაქრა და გაზეთების პირველ გვერდებზე დევიდ ბექემის გაღებილმა ქოჩორმა ტიმ ჰენმანის ნერვულ გამოხედვას დაუთმო ადგილი.*

*მსოფლიოს ჩემპიონატზე ფეხბურთელთა მორიგი ფიასკოს შემდეგ ნისლიანი ალბიონის იმედები ისევ მხოლოდ ჰენმანს აწევს მხრებზე და აქაურ ჟურნალისტთა მიერ უჯიგრობისა და ყველა გადამწყვეტი მატჩის წაგების გამო ირონიულად „ვეფხვად“ წოდებულ ინგლისელს წლეულს თანამემამულეთა განწყობის გამოკეთების საუცხოო შანსი აქვს.*

# არაბული გამოცდა

**ავთანდილ სვანიძე**

ლონდონიდან



**საქმე** ის არის, რომ ამჯერად „ოლ ინგლენდ კლაბმა“ უჩვეულოდ ბევრი ვარსკვლავი მოისაკლისა. შარშანდელ ჩემპიონ გორან ივანიშევიჩს მხრის ოპერაციის შემდეგ რამდენიმე თვე ჩოგნის ხელში აღებაც ეკრძალება, მასთან ფინალში დამარცხებულმა პატრიკ რაფტერმა ერთწლიანი შვებულება მოიწყო ბერმუდზე, მსოფლიოს მესამე ჩოგანმა ტომი ჰაასმა საავტომობილო ავარიაში მოხვედრილ მშობლებთან დარჩენა არჩია ფლორიდაში, სებასტიან გროჟანს კი ბარძაყის ტრავმა აწუხებს.

ლონდონში არ ჩამოვიდნენ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნები გუსტავო კუერტენი, კარლოს მოია და მარსელო რიოსი, როლან გაროსის ახალდაქორწინებული ჩემპიონი ალბერტ კოსტა და ამ უკანასკნელის ხელისმომკიდე ალექს კორეჩა, თუმცა ზემოხსენებულ მოთიხნარეთა არყოფნას უფრო ჟურნალისტები თუ მოისაკლისებენ, რადგან პირველ-მეორე წრეებში ბალახზე თამაშის მოძულე ბობოლათა „სენსაციურ“ მარცხზე საწერი არ ექნებათ.

აქვე დიაცებისაც ვთქვათ — მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს ორი ფავორიტი, ყოფილი ჩემპიონი მარტინა ჰინგისი და ლინდსი დევენპორტი აკლიათ ტრავმების გამო.

უიმბლდონის ორგანიზატორებს ასეთმა ვარსკვლავთცვენამ ვინძლო დიდი თავსატეხიც გაუჩინა, მაგრამ ქართველ გულშემატკივრებს უეჭველია, ჩვენებური ირაკლი ლაბაძის ბედი უფრო აინტერესებთ. 21 წლის თბილისელი წლეულს პირველად მოხვდა მსოფლიოს ყველაზე ცნობილი საჩოგბურთო ტურნირის ძირითად ბადეში და კენჭისყრამ პირველ წრეში მეტოქედ მეცამეტედ განთესილი მაროკოელი იუნეს ელ აინაუი არგუნა.

ირაკლის მოძებნა არცთუ იოლი საქმე გამოდგა. ჩოგბურთელთა რესტორანში უშედეგოდ ხეტიალისა და მახლობელ კორტებზე ვარჯიშის განრიგის გადამოწმების შემდეგ ATP-ის წარმომადგენლებმა ერთმანეთის გამომრიცხავი ინფორმაციით სხვადასხვა მიმართულებით გამაგზავნეს. ბოლოსდაბოლოს, იღბალმა ინტერვიუთა კოორდინაციის ოფისში გამიღიმა, სადაც ქართული გვარების დამარცვლა და რამდენჯერმე გამეორება მომიხდა, სამაგიეროდ, დახმარებას შემპირდნენ და საათზე ოდნავ მეტხანში ცოტათი გაკვირვებულ ირაკლისაც შემახვედრეს.

პირველივე წრეში განთესილ ჩოგბურთელთან თამაში მაინცდამაინც სასიამოვნო არ უნდა იყოს, მაგრამ ელ აინაუი უფრო თიხნარზე ასპარეზობასაა დაჩვეული, ასე რომ, წარმატების ურიგო შანსი არ უნდა გქონდეს...

— მართალია, აინაუის უფრო ნელ კორტებზე თამაში უყვარს და ბალახზე დიდი მიღწევები არასოდეს ჰქონია. ერთმანეთს აქამდე არ შევხვედრივართ, მაგრამ ვიცი, რომ ძალიან ძლიერი მოწოდება და ფორჰენდი აქვს, შევეცდები, მისთვის უფრო სუსტ მხარეს შევუტიო. რაღა თქმა უნდა, მოსაგებად განწყობილი გავალ კორტზე და ვნახოთ, წარმატების იმედი მაქვს.

იუნიორებში უიმბლდონის ფინალისტი იყავი, ბალახზე თამაში ალბათ სხვებზე მეტად მოგწონს...

— ყველა ამას მეუბნება, მაგრამ სინამდვილეში სრულებით საპირისპიროდაა საქმე. როდესაც როლან გაროსის მერე უიმბლდონისთვის მზადება დავიწყე, თავიდან საერთოდ არაფერი გამომდიოდა, ისე ცუდად ვთამაშობდი, თავად მეცინებოდა. (ირაკლი ქუინსისა და ნოტინგემის პირველობების პირველ წრეში შესაბამისად უეინ ფერერასა და ანდრეი სტოლიაროვთან დამარცხდა). კიდევ კარგი, ნოტინგემში წყვილებში ორი წრე გავიარე და თანდათან ბალახსაც გავუშინაურდი. ბოლო სამი დღეა, ვარჯიშისას უკვე გაცილებით უკეთ გამოვიყურები.

ირაკლის რამდენიმე კითხვა კიდევ დავუსვი, მაგრამ რაკი წინასწარ დაგეგმილ ვარჯიშზე მიეჩქარებოდა, საუბარი სადღეისოდ გადავდეთ, მალე დავემშვიდობე და წარმატება ვუსურვე. ჩვენებურის შეხვედრა ელ აინაუისთან დღეს თბილისის დროით ოთხ საათზე ოლ ინგლენდ კლაბის მერვე კორტზეა დანიშნული.

### ჩემპიონის არყოფნაში

როგორც წესი, უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე პირველი მატჩის გამართვის პატივი ვაჟებში გასული წლის ჩემპიონისთვისაა დაბევებული. წლეულს შარშანდელი ფინალისტების — ივანიშევიჩისა და რაფტერის არყოფნის გამო ორგანიზატორებს შემცვლელის ძებნა მოუხდათ, თავიდან შუადღის პირველ საათზე კორტზე შვიდგზის ჩემპიონ პიტ სამპრასის მიპატიჟებას აპირებდნენ, მაგრამ ამერიკელმა შაბათს საჩვენებელი შეხვედრის წინ ვარჯიშისას ნეკნების მცირე ტრავმა მიიღო და საერთოდ სამშაბათს ასპარეზობა მოითხოვა.

„პისტოლ პიტის“ მოთხოვნა მასპინძლებმა მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილეს — ერთი დღით გადადების ნაცვლად ინგლისელ მარტინ ლისთან მატჩი დღის ბოლოსთვის დაუნიშნეს, მის ნაცვლად კი ცენტრალურ კორტზე მეორე ამერიკელი სუპერვარსკვლავი, ანდრე აგასი გაამწესეს.

„ეს ჩემთვის დიდი პატივი იყო, თუმცა, რაღა თქმა უნდა, ვარჩევდი, რომ შარშან მართლა ჩემპიონი გავმხდარიყავი. ცოტა გული მწყდება გორანის გამო, მეგონა, წუთიერი დუმილით ან რაიმე ამდაგვარით მაინც მივაგებდით პატივს მატჩის დაწყების წინ — გაიხუმრა ამერიკელმა — მახსოვს, 1993 წელს საშინელ ფორმაში ვიყავი, მცირე ტრავმაც მაწუხებდა და ალბათ საერთოდ უმჯობესი იქნებოდა, არ ჩამოვსულიყავი, მაგრამ თავს ვერ გავუძლიანდი, ისე მინდოდა ცენტრალურ კორტზე 2 საათზე გამოსვლა (ძველი ტრადიცია ერთი საათით შარშან გადაწიეს უკან) და ტიტულის დაცვა“.

ლონდონისთვის ფრიად უჩვეულო, მთლიანად მოწმენდილ ცასა და თითქმის 30-გრადუსიან სიცხეში ჩრდილს შეფარებული მაყურებლებისთვის აგასის იმედი არ გაუცრუებია. ისრაელელმა ჰარელ ლევიმ ყველანაირი ხერხი და საშუალება მოსინჯა, ხან ბურთის ნელი, მოჭრილი დარტყმებით უკან მობრუნება სცადა, ხან ბადესთან გარბოდა, ან ჩოგანს მთელი ძალ-ღონით იქნევდა, მაგრამ შედეგი მაინც უცვლელი იყო — ამერიკელი მუდმივად საჭირო ადგილზე აღმოჩნდებოდა-ხოლმე კორტზე, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე მეტოქეს იქეთ-აქეთ სირბილით გაასავათებდა და ბოლოს ბურთს დაუცველ მხარეზე მიუჩენდა ადგილს.

ანდრეს ყურადღება მხოლოდ მატჩის ბოლოს გაეფანტა, რამდენიმე ორმაგი შეცდომა დაუშვა და მეტოქეს 1:5-დან ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება დაანება. ტრიბუნები ოდნავ გამოცოცხლდნენ და შეხვედრის გახანგრძლივების იმედით დევის გამხნევებას შეეცადნენ, მაგრამ ამერიკელს მზეში მეტად დარჩენის სურვილი, ეტყობა, სულაც არ ჰქონდა და მატჩს მალევე დაუსვა წერტილი 6:0, 6:4, 6:4.

„უიმბლდონს, ჩემი აზრით, მსოფლიოს სხვა ვერც ერთი ტურნირი ვერ შეედრება. კარიერაში მხოლოდ ერთი „მეიჯორის“ მოგების შესაძლებლობა რომ გქონდეს, გიჟი უნდა იყო, ეს რომ არ აირჩიო. სწორედ ამიტომ ძალიან მიხარია, რომ აქ გამარჯვებიდან 10 წლის შემდეგ ისევ ერთ-ერთი ფავორიტი ვარ, თუმცა დროის გასვლასთან ერთად მოგებაც სულ უფრო ძნელი ხდება“.

აგასის რომ პირად ცხოვრებაზე და შტეფი გრაფთან ურთიერთობაზე საუბარი დიდად არ ეხალისება, საიდუმლო არავისთვის არის. როდესაც ერთმა ინგლისელმა ჟურნალისტმა მათ ვაჟსა და შტეფის მეორედ ფეხმძიმობაზე ჩამოაგდო სიტყვა, ამერიკელი შესამჩნევად მოიქუფრა, მაგრამ მაინც უპასუხა: „ჩვენ მეორე შვილს ველოდებით? შენ, როგორც ვატყობ, ჩემზე მეტი გცოდნია... არა, გაზეთები რას წერენ, არ ვიცი, მაგრამ ეს სიმართლე არ არის. თუ სიმართლეა, მაშინ შტეფის ჩემთვის ჯერჯერობით არ უთქვამს“.

### ნახვამდის, ანა

ორი წლის წინანდელისგან განსხვავებით ლონდონში ამჯერად ყოველ ფეხის ნაბიჯზე ანა კურნიკოვას გიგანტური სარეკლამო პლაკატების ხილვით ველარ ისიამოვნებთ. საერთოდ, „ანამანია“ სულ ცოტა და ალბათ, წარსულს ჩაბარდება: სპონსორებს მუდმივად მარცხნაწვნევ ჩოგბურთელთან ასოციაცია, ეტყობა, ნაკლებად ახარებთ, 21 წლის რუსს აღარც გაზეთების პირველ გვერდებზე მიუჩინეს ადგილი და რაც მთავარია, ყველაზე სექსუალური მოთამაშის ტიტულიც კი ჩამოართვეს და სლოვაკ დანიელა ჰანტუხოვას უბოძეს.

კურნიკოვას სახელი ტრიბუნების ძლიერი სქესის წარმომადგენლებით შევსებისთვის ჯერაც საკმარისია, მაგრამ, ალბათ, სხვა ჩოგბურთელების მომდურების შიშით, ორგანიზატორებმა მისთვის მხოლოდ შედარებით მცირე, მეორე კორტზე გამონახეს ადგილი. მაყურებლების „მე შენ მიყვარხარ“ ძახილში რუსმა თანამემამულე ტატიანა პანტუხოვასთან შეხვედრის პირველი სეტი სულ 20 წუთში დათმო და კორტი სასწრაფოდ ფოტოგრაფებით შეივსო — კურნიკოვასთვის სურათების გადაღების ბოლო შესაძლებლობის ხელიდან გაშვება არავის უნდოდა.

მეორე ხელიდან მოყოლებული ანა გაცილებით უკეთ ათამაშდა, ანგარიშის გათანაბრებაც მოახერხა და რამდენიმე მართლაც საუცხოო ქულაც მიითვალა, მაგრამ უკანა [illegible] ბით მორბენალი [illegible] ცხებლად ეს საკმარისი არ იყო. კურნიკოვა მეტისმეტად ხშირად ცდებოდა, გადამწყვეტ მომენტებში თავდაჯერება აშკარად არ ჰყოფნიდა და გამაყრუებელ ტაშისცემაში სამი მატჩპოინტის გადარჩენის მიუხედავად 1:6, 6:4, 4:6 წააგო.

თეთრ ჭიპამოჭრილ მაისურაში გამოწყობილ რუსს მარცხის გამო გული დიდად არ დაწყვეტია, თამაშის დროსაც და მერეც, ჟურნალისტების წინ ხშირად იღიმებოდა: „წაგება რა თქმა უნდა, არ მახარებს, მაგრამ ბოლო ხანებში ისე საშინლად ვთამაშობდი, დღეს იმასთან შედარებით დიდი ნაბიჯი გადავდგი წინ. ბევრი ამბობს, რომ ჩოგბურთს საკმარის დროს არ ვუთმობ, მაგრამ ეს სიმართლე არ არის, მე მხოლოდ ერთი კარიერა მაქვს — სპორტული და ჯერჯერობით სხვა რამის კეთებას არ ვაპირებ. ის კი არა, მგონი, საჭიროზე მეტს ვვარჯიშობ, შეიძლება, უკეთესიცაა ცოტა მოვუკლო“.

თამაშის აბა, რა მოგახსენოთ, მაგრამ კურნიკოვა ინგლისურში ნამდვილად ვარჯიშობს — წინანდელთან შედარებით რუსული აქცენტი თითქმის მთლიანად გაიქრო და აქა-იქ ისეთი ჩახუჭუჭებული ფრაზები გამოურია, თქვენი მოწონებული. აქვე იმასაც დავაყოლებ, რომ თქვენს მონა-მორჩილს ერთხელაც გაუცრუვდა იმედი: ახლოდან რუსი მომხიბლველად ნამდვილად არ გამოიყურება.





**დანიელა ჰანტუხოვა ანა კურნიკოვაზე უკეთაც თამაშობს და რუსს სექს-სიმბოლოს ტიტულიც ჩამოართვა**

#### ვაჟები

**პირველი წრე**

**დავიდ ნალბანდიანი** (28, არგენტინა) — დევიდ სანჩესი (ესპანეთი) 6:4, 6:3, 4:6, 7:5; **ნიკოლა ლაპენტი** (22, ეკვადორი) — ხაიმე დელგადო (ბრიტანეთი) 6:3, 6:2, 6:7, 4:6, 7:5; **ტოდ მარტინი** (26, აშშ) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:3, 6:4, 7:6; **ევგენი კაფელნიკოვი** (6, რუსეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:1, 7:6, 7:6; **გრეგ რუზედსკი** (23, ბრიტანეთი) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 6:1, 6:4, 7:5; **პიტ სამპრასი** (6, აშშ) — მარტინ ლი (ბრიტანეთი) 6:3, 7:6, 6:3; **ენდი როდიკი** (11, აშშ) — ბოგდან ულიჰრაში (ჩეხეთი) 6:1, 3:1 შეწყდა; **მარატ საფინი** (2, რუსეთი) — სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) 7:6, 6:2, 6:3; **ფერნანდო გონსალესი** (ჩილე) — ხუან იგნასიო ჩელა (19, არგენტინა) 6:3, 3:6, 1:6, 7:6, 6:3; **ტეილორ დენტი** (აშშ) — მაქს მირნი (21, ბელარუსი) 4:6, 6:4, 7:6, 6:4; **ირჟი ნოვაკი** (12, ჩეხეთი) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 2:6, 6:0, 6:4, 6:4; **ანდრეი პაველი** (16, რუმინეთი) — კენეტ კარლსენი (დანია) 6:4, 6:1, 3:6, 6:3; **ანდრე აგასი** (3, აშშ) — ჰარელ ლევი (ისრაელი) 6:0, 6:4, 6:4; **ტომას ენკვისტი** (14, შვედეთი) — არვინდ პარმარი (ბრიტანეთი) 6:1, 6:4, 6:4; **ხავიერ მალისი** (27, ბელგია) — ხალო ბლანკო (ესპანეთი) 6:3, 6:3, 6:3; **ჯეიმს ბლეიკი** (29, აშშ) — მარიანო საბალეტა (არგენტინა) 6:2, 6:2 შეწყდა.

#### ქალები

**პირველი წრე**

**ელენა დოკიჩი** (7, იუგოსლავია) — ელენა ტატარკოვა (უკრაინა) 7:6, 6:4; **ამელი მორესმო** (9, საფრანგეთი) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 6:1, 6:7, 6:2; **საორი ობატა** (იაპონია) — ალექსანდრა სტივენსონი (24, აშშ) 6:1, 6:3; **იროდა ტულიაგანოვა** (14, უზბეკეთი) — სილვია ტალაია (ხორვატია) 2:6, 6:2, 6:4; **ნატალი დეში** (25, საფრანგეთი) — მარიანა დიას-ოლივა (არგენტინა) 6:2, 6:3; **მეგან შონესი** (13, აშშ) — ლუსი ალი (ბრიტანეთი) 6:2, 6:2; **ანასტასია მისკინა** (18, რუსეთი) — ევა დაირბერგი (დანია) 2:6, 6:1, 7:5; **სანდრინ ტესტუ** (8, საფრანგეთი) — ანკა ბარნა (გერმანია) 6:7, 6:4, 6:1; **ტატიანა პანოვა** (21, რუსეთი) — ანა კურნიკოვა (რუსეთი) 6:1, 4:6, 6:4; **სერენა უილიამსი** (2, აშშ) — ევი დომინიკოვიჩი (ავსტრალია) 6:1, 6:1; **ანე კრემერი** (22, ლუქსემბურგი) — გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) 6:4, 6:4; **დანიელა ჰანტუხოვა** (11, სლოვაკეთი) — კრისტინა ტორენს ვალერო (ესპანეთი) 6:3, 6:2; **მარი პიერსი** (საფრანგეთი) — ალისია მოლიკი (ავსტრალია) 6:4, 4:6, 8:6; **ჯენიფერ კაპრიატი** (3, აშშ) — ჟანეტ ჰუსაროვა (სლოვაკეთი) 6:1, 6:4; **ლაურა გრენვილი** (აშშ) — ნიკოლ პრატი (31, ავსტრალია) 7:5, 7:5; **კლარისა ფერნანდესი** (30, არგენტინა) — ლუდმილა ჩერვანოვა (სლოვაკეთი) 6:3, 6:3; **დაჯა ბედანოვა** (26, ჩეხეთი) — სედა ნოორლენდერი (ჰოლანდია) 6:1, 6:2.



REUTERS ულსანიდან




REUTERS ავაჯიდან

# ცოლები და ხალისი

მსოფლიოს ჩემპიონატი მთავრდება, ცხოვრება კი, ცხადია, გრძელდება. ძნელად , რომ რომელიმე ინგლისელი ფეხბურთელი დაამშვიდოს იაპონელი გოგოს გამოსათხოვარმა ბარათმა, მაინც ბექემი მიყვარსო. დევიდ ბექემს ეგებ ესიამოვნოს კიდეც, მაგრამ დევიდ სიმენს რომ დანა პირს არ უხსნის, ყველას მოეხსენება. ინგლისის ნაკრები კანსაის აეროპორტიდან ტოვებს იაპონიას და შემცდარ მეკარეს შვებას ის თუ მოჰგვრის, რომ მეუღლე დები და ქალიშვილი ჯორჯინა გაამხნევებენ. პატარა რობი სიმენმა კი ჯერ ისიც არ იცის, რა არის ფეხბურთი.

ერთი ცოლ-შვილით მიემგზავრება, სხვათა ცოლები კი კვლავაც იმედოვნებენ, რომ მათი ქმრები კვირა საღამოს იოკოჰამაში ითამაშებენ. გერმანიის ნაკრების ფეხბურთელთა რჩეული ქალები კლარა ბირჰოფი, კონი ლემანი, პია ციგე და კლაუდია რემერი ჩემოდნების ჩალაგებას არ ჩქარობენ. საიტამას ჩასულა ბრაზილიის ნაკრები. კმაყოფილი მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი ავტოგრაფებს არიგებს, რივალდო კი სასტუმროს სხვა მკვიდრთა გასახარად საერთო აუზში ჩასულა და ეგებ მთლად სველსაც მოუწიოს ავტოგრაფების ჩამორიგებამ.

ახლა კი ისევ ის ვაჟკაცური და მომღიმარი სახე. სენეგალელთა თეთრი შამანი, ბრუნო მეტიუ კვლავ სტადიონზეა, ოღონდ ამჯერად არა კორეასა და იაპონიაში, არამედ ტაივანში, დიპლომატიურად იზოლირებული ქვეყნის დედაქალაქში სენეგალის ნაკრებს ამხანაგური შეხვედრა გაუმართავს იქაურ ნაკრებთან.



REUTERS ჰამამაცუდან



REUTERS ოსაკადან




REUTERS ტაიპეიდან



REUTERS საიტამადან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge